# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

ფასი 1,5 ლარი

№ 21 (9853) 2025 წლის 14 თებერვალი, პარასკევი


European Parliament

# გასალაკლდევდი „ქართულო ოცნებავ“!

## ევროპარლამენტის სერიოზულად აღქმა დღეს შეუძლებელია!



გუშინ ევროპარლამენტმა წარმოუდგენლად ყალბი, ბინძური, ფაშისტურ-დიქტატორული რეზოლუცია მიიღო „საქართველოში პოლიტიკური ვითარების გაუარესების შესახებ“. უძველესი ისტორიისა და კულტურის მქონე საქართველოს დღევანდელი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის შეურაცხყოფა არ უნდა ეპატიოს ევროპელ მოლაყბეებს!

„ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭო:

## „დიფ სთეითი“ გაანადგურებს ევროკავშირს ან ევროკავშირი გამონახავს ძალას, თავი დააღწიოს მის გავლენას!

13 თებერვალს მიღებული რეზოლუციის საპასუხოდ გვსურს განვაცხადოთ, რომ ან „დიფ სთეითი“ გაანადგურებს ევროკავშირს, ან ევროკავშირი გამონახავს ძალას, როგორმე თავი დააღწიოს „დიფ სთეითის“ გავლენას, – ამის შესახებ „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭოს განცხადებაშია ნათქვამი.

მათივე აღიარებით, სამწუხაროდ, ევროპარლამენტის სერიოზულად აღქმა დღეს აბსოლუტურად შეუძლებელია.

* * *

„გვსურს, გამოვეხმაუროთ ევროპარლამენტის მიერ დღეს მიღებულ რეზოლუციას საქართველოს და ქართველი ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლების წინააღმდეგ.

ჯერ კიდევ 2023 წლის 26 მარტს, ამერიკის შეერთებული შტატების მომავალმა პრეზიდენტმა, დონალდ ტრამპმა ამომრჩევლებთან შეხვედრის დროს განაცხადა: „ეს გადამწყვეტი ბრძოლაა. ან „დიფ სთეითი“ გაანადგურებს ამერიკას, ან ჩვენ უნდა გავანადგუროთ „დიფ სთეითი“.

პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, დონალდ ტრამპი ამ გადამწყვეტ ბრძოლაში აქტიურად ჩაება და ჩვენ წარმატებას ვუსურვებთ მას „დიფ სთეითის“ განადგურების საქმეში.

ჩვენი მხრივ, დღეს მიღებული რეზოლუციის საპასუხოდ გვსურს განვაცხადოთ, რომ ან „დიფ სთეითი“ გაანადგურებს ევროკავშირს, ან ევროკავშირი გამონახავს ძალას, რომ როგორმე თავი დააღწიოს „დიფ სთეითის“ გავლენას.

როგორც პრეზიდენტ ტრამპს ვუსურვებთ გამარჯვებას „დიფ სთეითის“ წინააღმდეგ ბრძოლაში, ასევე ევროპასაც ვუსურვებთ, რომ თავი დააღწიოს „დიფ სთეითის“ მავნე ზეგავლენას. ჩვენ ამ ბრძოლაში პატრიოტი ევროპელების მხარეს დავდგებით.

ასევე გვსურს, საზოგადოებას შევახსენოთ უნგრეთის პრემიერ-მინისტრის, ვიქტორ ორბანის გუშინდელი განცხადება – „ევროპული ინსტიტუტების სერიოზულად აღქმა შეუძლებელია“.

ჩვენი აზრით, სამწუხაროდ, ევროპარლამენტის სერიოზულად აღქმა დღეს აბსოლუტურად შეუძლებელია“!



## წულუკიანმა ნაცების დამთავრება უნდა შეძლოს!

2003–2012 წლებში მოქმედი რეჟიმის საქმიანობის შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისია იწყებს

7

EYOF BAKURIANI 2025



## ინგა გურგენიძემ ოქროთი გაგვახარა!

საქართველოში მიმდინარე 2025 წლის ზამთრის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე ფიგურულ ციგურაობაში ინგა გურგენიძემ ოქროს მედალი მოიპოვა.

გუშინდელი მოკლე პროგრამის შემდეგ გურგენიძეს 58.84 ქულა ჰქონდა და მესამე ადგილს იკავებდა. დღეს თავისუფალ პროგრამაში მან 128.97 ქულა დაიმსახურა, ხოლო საერთო ჯამში მოპოვებული 187.81 ქულით ევროპის ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის გამარჯვებული გახდა.

გოგონათა შორის ფიგურულ ციგურაობაში ვერცხლის მედალს ესტონელი ელინა გოიდინა დაეუფლა, ხოლო ბრინჯაო შვეიცარიის წარმომადგენელმა, ლეანდრა ციმპუკაკისმა მოიპოვა.

ბაკურიანი 2025-ის ფარგლებში ფიგურულ ციგურაობაში შეჯიბრება ბათუმის ყინულის არენაზე მიმდინარეობს. ევროპის ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი საქართველოში 9 თებერვალს გაიხსნა და 16 თებერვალს დასრულდება.

ინგა გურგენიძე პირველი ქართველი მოციგურავე გახდა, ვინც საქართველოს ამ შეჯიბრებაში ოქროს მედალი მოუტანა.

## გვიყვარხარ, აფხაზეთო!

## მადინათი...



დევი სტურუა

4



## საქართველოს პრემიერ–მინისტრს, ბატონ ირაკლი კობახიძეს

# ახლა, „ოქროს ხანის“ 900 წლისთავზე მაინც აღვასრულოთ მერაბ ბერძენიშვილის საფლავში ჩამარხული ოცნება!

**ბატონო ირაკლი!**

**8 თებერვალს** მთელმა საქართველომ აღნიშნა დავითობა – დავით აღმაშენებლის ხსოვნის დღე. ეს იყო ნათელი დადასტურება იმისა, თუ როგორ ამაყობს საქართველო დიდი მეფით.

სააკაშვილი-უგულავას მიერ, საზოგადოების აქტიური წინააღმდეგობის მიუხედავად, აღმაშენებლის ძეგლი ქალაქის ცენტრიდან დიღმის ტრასაზე გაიტანეს.

ძეგლის გადატანის მოტივი სხვადასხვა იყო, ყველა მათგანი გულუბრყვილო, უვიცი და ღიმილის მომგვრელი გახლდათ. უცხოელი ხელოვნებათმცოდნეების მიერ „ქართველ მიქელანჯელოდ“ სახელდებული, მერაბ ბერძენიშვილისათვის არაფერი შეუთანხმებიათ.

მე, როგორც წლების მანძილზე მ. ბერძენიშვილის მეგობარს, თანამოაზრეს და თანაავტორს, დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, მან ქუთაისის „გამარჯვების“ უნიკალური მემორიალის ვანდალური აფეთქება, რომელმაც დედა-შვილის სიცოცხლეც შეიწირა, უფრო „იოლად“ (პირობითად) გადაიტანა, ვინემ აღმაშენებლის ძეგლის ქალაქიდან გაძევება. ქუთაისის მემორიალის აფეთქებას მთელი მსოფლიო უყურებდა – თანაგრძნობის წერილები დაიბეჭდა და გამოიცა ორ წიგნად, ქართულ და ინგლისურ ენებზე. დიდოსტატი ბერძენიშვილი ისე ჩავიდა საფლავში, დავითის დაბრუნებას ვერ მოესწრო.

მახსენდება სატელეფონო ზარი. 2012 წლის, 1 ოქტომბერი, „ოცნების“ გამარჯვება, ქალაქი გაივსო მოზეიმე მანქანებით. „ვახტანგ, დავითი ბრუნდება! დავითი ბრუნდება!“ – ისმის მერაბის ზარივით მკვეთრი ხმა...

**მას შემდეგ 13 წელი გავიდა,** შეიცვალნენ ხელისუფლების მაღალჩინოსნები, თბილისის მერები, საკრებულოს თავმჯდომარეები, დავითი კვლავ ტრასაზე დგას. არა მხოლოდ ჩვენ, არამედ მთელს საქართველოს, ეგონა „ოცნების“ ერთ-ერთი უპირველესი, ჭეშმარიტად ეროვნული ნაბიჯი აღმაშენებლის ძეგლის დაბრუნება იქნებოდა. არ შეიძლება არ გავიხსენო მერაბ ბერძენიშვილის ბოლო ზარიც. **„ვახტანგ, ეს-ესაა დამთავრდა კონსილიუმი, ოპერაცია აუცილებელია, ხვალ საავადმყოფოში ვწვები... შანსი ნაკლებია. დავითი როგორ დავტოვო ტრასაზე, შენი იმედი მაქვს“!!!** ზარი შეწყდა.

„დავითი როგორ დავტოვო ტრასაზე“, ეს სიტყვები ყოველდღიურად მახსენებს თავს...

**ბატონო ირაკლი,**

ჩემი ასაკიდან გამომდინარე, ეს წერილიც ჩემი ბოლო გაბრძოლებაა, რათა აღსრულდეს დიდი მოქანდაკის, დიდი მამულიშვილის, საფლავში ჩატანილი ოცნება. მოგმართავთ თქვენ, მრავალი ეროვნული საქმის აღმსრულებელს, მიუხედავად თქვენი უაღრესად დაძაბული რეჟიმისა, მჯერა, ამ საკითხსაც მოაგვარებთ – ეს მთელი საქართველოს სურვილია.

ძეგლი უნდა დაიდგას (დამკვიდრდეს) იქ, სადაც მისი ავტორის სურვილი იყო! არსებობს პროექტი, რომელიც განხილული და მოწონებულია მრავალ საზოგადოებრივ შეხვედრაზე.

მე, როგორც თანაავტორს, მიუხედავად ჩემი ასაკისა, ჯერ კიდევ შემწევს უნარი, საქმე ბოლომდე მივიყვანო. თქვენი სურვილის შემთხვევაში, შემიძლია, გაგაცნოთ პროექტი.

**ღრმა პატივისცემით, იმედით,**

**ვახტანგ დავითაია,**

**რუსთაველის პრემიის ლაურეატი,**
**არქიტექტურის**
**საერთაშორისო**
**აკადემიის აკადემიკოსი,**
**12.II.2025**





**პირადი** ცხოვრების თავისუფლად განსაზღვრის უფლება ყველას უნდა ჰქონდეს, მაგრამ ერთის პირადი ცხოვრება მეორეს რელიგიად არ უნდა გამოცხადდეს, – ამის შესახებ ნათქვამია პოეტ **დავით მაღრაძის – „მოქალაქეში ადამიანის გადასარჩენად“**, რომელსაც ცნობილი იტალიური ჟურნალი MicroMega აქვეყნებს.დავით მაღრაძე პუბლიცისტ მარკო სკარდოვის კითხვებს პასუხობს.

## დავით მაღრაძე:

# მოქალაქეში ადამიანის გადასარჩენად

**„მორალური ქაოსი“ – ტენდენციაა, რომ ადამიანი დარჩეს კარგისა და ცუდის გარჩევის გამოცდილების გარეშე, შემოთავაზებულია სახელმწიფო რელიგიის ხარისხით, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში საკონსტიტუციო დონეზე ასახული ცვლილებებით იმკვიდრებს თავს. როგორც ჩანს, იდეის ავტორებმა განსაზღვრეს, რომ „მორალური ქაოსი“ ერთდროულად სავალდებულოც უნდა იყოს და მოდურიც, – სკოლაშიც უნდა აღწევდეს და სკოლის ტუალეტშიც და ამ ყოველივემ საყოველთაო პოლიტ კონიუქტურის სახე მიიღო. რა თქმა უნდა, პირადი ცხოვრების თავისუფლად განსაზღვრის უფლება ყველას უნდა ჰქონდეს, მაგრამ ერთის პირადი ცხოვრება მეორეს რელიგიად არ უნდა გამოცხადდეს. ამ მხრივ იმედის მომცემია აშშ-ის ძველი და ახალი პრეზიდენტის – დონალდ ტრამპის განცხადება, რომ არსებობს ორი გენდერი – ქალი და კაცი“,** – ამბობს **დავით მაღრაძე.**

**„ევროპის ხმა უნდა ისმოდეს აუდიტორიაში, ქუჩაში, საპარიკმახეროში, სასამართლოში და ევროპა არქივში, მუზეუმში, გალერეასა და საცავში ვერავინ ვერ უნდა გამოკეტოს. ანუ, ევროპა უნდა იყოს – დღეს! და არა მხოლოდ – გუშინ! ამ ყოველივეზე იმიტომ ვამახვილებ ყურადღებას, რადგან საქართველოს პოლიტიკურ-კულტურული, გნებავთ სულიერი განვითარების გზა ტრადიციულად ევროპასთან ურთიერთობაზე გადის და რომ ეს ურთიერთობა ჩვენთვის და პირადად ჩემთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ბოლო ხანებში საქართველოს ხელისუფლების განცხადებებს და მკაფიო პოზიციას არაერთი ევროპელი პოლიტიკოსისა და ჩინოვნიკის გულისწყრომა და მძაფრი კრიტიკა მოჰყვა.**

**ვფიქრობ, რომ ეს კრიტიკა უმთავრესად იმით არის გამოწვეული, რომ საქართველო ძმნის მოულოდნელ პრეცედენტს და უპირველეს ყოვლისა, იცავს საკუთარ ეროვნულ ინტერესს და იბრძვის ქვეყნის სუვერენიტეტისათვის, რაც, როგორც ჩანს, კრიტიკოსთათვის პირველხარისხოვანი ამოცანა არ არის და მათ ენაზე ამას დემოკრატიის უკუსვლა ჰქვია. კრიტიკოსთა უკმაყოფილება ხშირად ნაკარნახევია რუსულ რეჟიმთან საქართველოს „არაჯეროვანი“ დაპირისპირებით, რაც მათ თარგმანში დემოკრატიის გზიდან გადახვევად იკითხება. მიუხედავად იმისა, რომ ქართული სახელმწიფო რუსეთის მიმართ თითქმის ყველა საპროტესტო რეზოლუციას შეუერთდა და ზოგიერთი მათგანის ინიციატორიც იყო, როგორც ჩანს, ევროპის პოლიტიკური წრეების ნაწილში საქართველოსგან მეტს ელოდნენ. უკრაინის პარალელურად, საქართველოს მისამართით გაისმა მეორე ფრონტის გახსნისკენ მოწოდებები. მინდა, ჩვენს კრიტიკოსებს შევახსენო, რომ საქართველოს ტერიტორიის 20% რუსეთის მიერ დღემდე ოკუპირებულია და ამის გამო ევროპელი პოლიტიკოსების შეშფოთების შემცველი განცხადებები სიტუაციას ოდნავადაც ვერ ცვლის.**

**ზემოაღნიშნული ფონის (ვგულისხმობ საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულ რუსულ სამხედრო ბაზებს) და ქვეყნის თავდაცვის შესაძლებლობების გათვალისწინებით, საქართველოს იმავე ტემპერატურის დაპირისპირება მოსთხოვო რუსეთთან, როგორც გერმანიას ან საფრანგეთს, ვფიქრობ, არც ლოგიკურია და არც სამართლიანი.**

**თუ რუსეთის საწინააღმდეგო სანქციების ნაწილს საქართველო არ მიუერთდა, რაც რუსეთს ვერანაირ ზიანს ვერ მიაყენებდა, ხოლო ქართულ ეკონომიკას დაანგრევდა, ვფიქრობ ევროპის პოლიტიკური ისტებლიშმენტი ამას გაგებით უნდა მოეკიდოს. აქვე მადლობა მინდა გადავუხადო ევროპის ქვეყნებს, რომ ისინი ცნობენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და საფუძვლიან იმედს გამოვთქვამ, რომ საქართველოსა და ევროპას შორის აღდგება ტრადიციული სრულფასოვანი ურთიერთობა არა მხოლოდ პროცედურულ საკითხთა მიმართულებით, არამედ საგანმანათლებლო, სულიერი და კულტურული ურთიერთობის გზაზე. მჯერა, რომ ეს ურთიერთობა ორმხრივად სასარგებლო იქნება“!..**



## Georgia, Magradze: "The EU expects too much from us, but we must start cooperating again"

The former minister and author of the verses of the national anthem calls on the Union to engage in dialogue with Georgia, taking into account the strong Russian military presence in the country.

Marco Scardovi
February 12, 2025

SHARE




# დიდი აღებმიცემობა ტრამპის კარზე

## უილსონის კომერციის ქართველი მსხვერპლები

## ჰელსინკის კომისიის თავმჯდომარე კი არა ანჩხლი ქალის სადარი არაკაცია!

**ირკვევა, რომ ჰელსინკის კომისიის თავმჯდომარეს დონალდ ტრამპის ინაუგურაციაზე მთლად უანგაროდ არ მიუწვევია ექსპრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი და, ალბათ, იმის გამო, რომ საქართველოს მთავრობიდან ინაუგურაციაზე არავინ დაპატიჟა, ზურაბიშვილთან სარფიანადაც ივაჭრებდა.**

**გავრცელებული ინფორმაციით, ჯო უილსონი დონალდ ტრამპის ინაუგურაციაზე ბილეთების გაყიდვით ფულს შოულობდა. იგი ბილეთებს საკუთარი ოფიციალური საიტის მეშვეობით ყიდდა. ბილეთის შესაძენად მომხმარებელი საიტზე მითითებულ ცალკე ბმულზე შედიოდა, ავსებდა სპეციალურ კითხვარს, რეგისტრაციის წარმატებით დასრულებისა და თანხის გადახდის შემდეგ ბილეთის მფლობელი ხდებოდა. გარდა ამისა, უილსონის ვებგვერდი ამერიკის დროშებითაც ვაჭრობდა.**

* * *

საქართველოში ფიქრობენ, რომ ჯო უილსონმა ჰელსინკის იდეალებს უღალატა.

**კინორეჟისორ გოგა ხაინდრავას** თქმით, უილსონიც ვაჭარი ყოფილა, ყიდის ყველაფერს – ბილეთებს, დროშებს, აშშ-ის



კონგრესმენის ღირსებას, პოლიტიკურ გავლენას, ჰელსინკის იდეალებს, ყველაზე სარგებლიანად კი ყიდის ქვეყნის ინტერესებს. „მეც არ ვიფიქრე, ასე რატომ შეუხმატკბილდნენ ერთმანეთს უილსონი, ხაზარაძე და შალიკო!“ – ასკვნის გოგა ხაინდრავა.

რადგან ჯო უილსონს ისე „გაუჭირდა“, რომ სენატორის ხელფასი აღარ ყოფნის და ლამის ყველაფერს ყიდის, გასაკვირი არ არის, რატომ გამოიცა მისი ავტორობით საქართველოს „MEGOBARI ACT“-ი, რომელიც სხვა არაფერი იყო, თუ არა თავდასხმა საქართველოს ხელისუფლებაზე. ასევე, რატომ ერეოდა აქტიურად ჩვენი ქვეყნის შიდა საქმეებში და რატომ ავრცელებდა, რომ ეს ხელისუფლება არალეგიტიმური იყო.

ზოგადად, ჯო უილსონს ჰელსინკის იდეალების შესახებ, ალბათ, არაფერი გაუგონია. არც ის ეცოდინება, რომ თავის დროზე საქართველოს ჰელსინკის კავშირის თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია იყო, რომელიც ჰელსინკის პრინციპების დაცვას ცდილობდა და ჰელსინკის ჯგუფების პატიმრობაში მყოფ სხვა წევრებთან ერთად ზვიად გამსახურდიაც წარდგენილი იყო ნობელის მშვიდობის პრემიაზე.

საქართველოში ჰელსინკის კავშირი 1976 წელს შეიქმნა. ეს ის პერიოდია, როდესაც პარალელურად საბჭოთა კავშირში იქმნება ჰელსინკის ჯგუფები. ჰელსინკის კავშირის წევრებმა რეპრესიები გამოიარეს, მაგრამ არ შეუწყვეტიათ ბრძოლა ადამიანის უფლებებისთვის, ერთა დამოუკიდებლობისთვის, რასაც ჰელსინკში, ფინეთში 1975 წელს ხელმოწერილი დეკლარაცია ითვალისწინებდა, რომელსაც 35-მა სახელმწიფომ მოაწერა ხელი, მათ შორის, ევროპამ, კანადამ, ამერიკამ, საბჭოთა კავშირმა. ჰელსინკის მაშინდელი დეკალოგი 10 პუნქტს შეიცავდა – სახელმწიფოების მთლიანობა, საშინაო საქმეებში ჩაურევლობა, ადამიანის უფლებები, სიტყვის, სინდისის, გადაადგილების თავისუფლება, რასაც მალე დისიდენტური მოძრაობების გააქტიურება მოჰყვა ჩეხოსლოვაკიიდან საქართველომდე.

დღეს კი ჯო უილსონი ჰელსინკის ავტორიტეტს შეურაცხყოფს.

**უმრავლესობის წევრი ირაკლი ზარქუა** ამბობს, რომ ჯო უილსონმა მადამ მავნებელს, ალბათ, კარგი ფასი გადაახდევინა ტრამპის ინაუგურაციის ბილეთში, მაგრამ ხაზარაძე, მგონი დასაჯა.

„იმ გიჟს, ვაშაძეს, მგონი, საერთოდ, კალათბურთის ბილეთი მიჰყიდა. მგონია, რომ ვაშაძემ უნდა უჩივლოს მას, რადგან კალათბურთის თამაშზე მიიწვია და იქიდან ერთვებოდა დაღვრემილი სახით. აღმოჩნდა, რომ დროშებსაც ყიდის. ეს არის თქვენი ავტორიტეტული რესპონდენტი“, – ამბობს ირაკლი ზარქუა და იხსენებს კიზინგერს, რომელიც მორალს გვიკითხავდა, ახლა კი საერთოდ გააგდეს და მტირალა უწოდა ახალმა პრეზიდენტმა. ზარქუას თქმით, ასევე, ჩვენს წინააღმდეგ აამხედრეს სენატორი მენდესი, რომელიც ამერიკულმა სასამართლომ დაიჭირა ღალატის, მექრთამეობის, კორუფციისთვის.

**„ხალხის ძალის“ წევრი დავით ქართველიშვილი** სენატორ ჯო უილსონის მხილებას ეხმაურება და მის ქმედებას სენატორ ბობ მენენდესის თაღლითობას ადარებს, რის გამოც სენატორს 11-წლიანი პატიმრობა ემუქრება. საბოლოოდ კი ქართველიშვილი ასკვნის, რომ სააკაშვილის და მისი პატრონების გზები ნელ-ნელა გადაკვეთის კიდევ ერთ წერტილს უახლოვდება – ამჯერად გისოსებს მიღმა.

* * *

**რამდენად უღირდათ საქართველოდან წარგზავნილ ოპოზიციონერებს ჯო უილსონის საიტზე ნავაჭრი ბილეთით დონალდ ტრამპის ინაუგურაციაზე დასწრება?!**

**ანალიტიკოსი რამაზ საყვარელიძე** მიიჩნევს, რომ საბჭოთა კავშირის დროს ჰელსინკის კომიტეტში რა პროცესებიც მიმდინარეობდა, ჩვენ ვერ ვხედავდით. უბრალოდ, რასაც ჰელსინკის კომიტეტი აკეთებდა, ნამდვილად გვაწყობდა და გულს უხაროდა საბჭოთა კავშირის შევიწროება ამ კომიტეტის მხრიდან. თუმცა თვითონ ეს კომიტეტი თავისი სულისკვეთებით მოქმედებდა, თუ მაშინაც



პოლიტიკური თამაშის ნაწილი იყო, დღესაც უცნობია. რაც შეეხება ჰელსინკის კომისიის თავმჯდომარე ჯო უილსონს, რამაზ საყვარელიძის აზრით, საქართველოსთან მიმართებით ამ ადამიანის მოღვაწეობაზე სერიოზული დამოკიდებულება უკვე ჩაქრა. ჯო უილსონის პირველ გამოჩენაზე იყო რეაქცია და მერე უკვე ყოველდღე რომ ერთსა და იმავეს ამბობდა, ყველას მობეზრდა. თანაც, ბოლო ხანებში მიამატა, რომ რუსეთისკენ კი აღარ „მიგვათრევს“ ივანიშვილი, არამედ უკვე ირანისკენ მიგვათრევს. ანუ ივანიშვილი „დაგვათრევს“ მთელ მსოფლიოში.

„კომიკური ფიგურა გახდა უილსონი. ცნობილია, რომ მისი განცხადებებიც ფასიანია და თითოეულ განცხადებაში კონკრეტული გასამრჯელო აქვს. საეჭვოა, ივანიშვილზე ფიქრობდეს 24 საათი, ლაპარაკით კი ნამდვილად ლაპარაკობს მასზე მთელი 24 საათის განმავლობაში. რაც შეეხება ინაუგურაციაზე ბილეთების გაყიდვას მისი მხრიდან, აქ მარტო ჯო უილსონის საქციელი არ არის სამარცხვინო, არამედ ზურაბიშვილის საქციელია სამარცხვინო. რას ნიშნავს, ინაუგურაციაზე მიგიწვიეს. სინამდვილეში, მიგიწვიეს კი არა, დაუპატიჟებლად მიდიხარ, დაუპატიჟებლად ქეიფში არ მიდის ადამიანი, არათუ ტრამპის ინაუგურაციაზე. ბილეთებს რომ ყიდიან და შენ ყიდულობ, ე.ი. თეატრში მიდიხარ და არა ინაუგურაციაზე, ანუ მაყურებელთა დარბაზში უნდა იჯდე და არა სცენაზე. პოლიტიკაში რა აქვს საამაყო იმ ადამიანს, რომელიც სცენაზე კი არ მიდის, არამედ მაყურებელთა დარბაზში. ასევე, გაუგებარია ჩვენი პოლიტიკოსების საქციელი, რომლებიც დარბაზში კი არ მიიწვიეს, ქუჩაში იყვნენ. ან მათ რა ჰქონდათ საამაყო, ან რა საჭიროა ამით ტრაბახი, რომ რომელიღაც პრეზენტაციაზე მიგიწვიეს, ინფანტილური დამოკიდებულებაა. ასეთი დამოკიდებულება ჩვენს ახალგაზრდებს რომ აქვთ, გასაგებია, ისინი მაინც ახალგაზრდები არიან და, სხვა თუ არაფერი, ეხალისებათ პერფორმანსებით ცხოვრება, ზურაბიშვილი კი ასაკიანი, 75 წელს მიღწეული, ამხელა ბიოგრაფიის მქონე ქალია და პატარა ბავშვივით რომ იქცევა, გულდასაწყვეტია“, – აცხადებს რამაზ საყვარელიძე for.ge-სთან საუბარში.

**„ერთიანი ნეიტრალური საქართველოს“ წევრი, უფლებადამცველი ნანა პაპაბაძე** ამბობს, რომ, თავისთავად, უკვე საეჭვო იყო ის ფაქტი, რომ ვადაგასული ყოფილი პრეზიდენტი ზურაბიშვილი საქართველოდან მიიწვია ჯო უილსონმა. მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ უილსონი ვაჭრობდა და გამოძიება მიმდინარეობს ფართო მასშტაბით, უკვე სხვა მასალებიც ამოტივტივდება და ცნობილი გახდება, ვინ რას ემსახურებოდა ამერიკის სახელით – ამერიკას ემსახურებოდნენ, თუ კერძო ჯგუფების ინტერესებს.

„ძალიან მნიშვნელოვანი პროცესებია ამერიკაში დაწყებული. იმედი მაქვს, საქმეები ბოლომდე მივა. ჰელსინკის კომისიას სწორედ ასეთი ჯო უილსონები უტეხენ სახელს. რა უფლება ჰქონდა ჰელსინკის კომისიას ასეთი საქმიანობისთვის? მის მანდატში შედიოდა ეს საქმე? ცხადია, არ შედიოდა. როდესაც მანდატის გარეშე ასეთ დანაშაულებრივ საქმიანობას ეწევი, ცხადია, გამოსაძიებელია. ასევე, გამოსაცვლელია ჰელსინკის კომისიის თავმჯდომარე ჯო უილსონი. ეს საქმე ზედაპირზე დევს, მაგრამ რაც ზედაპირზე არ დევს, ის საქმეებიც გამოსაძიებელია“...

მოამზადა
**მანანა ნოზაძემ**

## ქუვეითი და საქართველო დამეგობრდნენ



**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე ქუვეითის სახელმწიფოს პრემიერ-მინისტრს აჰმედ ალ აბდულა ალ აჰმედ ალ საბაჰს შეხვდა.**

საუბარი შეეხო საქართველოსა და ქუვეითის სახელმწიფოს შორის როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ ფორმატებში არსებულ მჭიდრო თანამშრომლობას.

ირაკლი კობახიძემ ქუვეითის სახელმწიფოს პრემიერ-მინისტრს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

შეხვედრისას ყურადღება დაეთმო ორი ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების დინამიკას და მისი შემდგომი განვითარების პერსპექტივებს.

საუბარი შეეხო საქართველოში არსებულ ხელსაყრელ ბიზნეს-გარემოს და სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის ტურიზმის, უძრავი ქონებისა და ენერგეტიკის სექტორებში ინვესტირების შესაძლებლობებს. აღინიშნა, რომ ტურიზმი საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი სექტორია და ამ კუთხით ქუვეითის სახელმწიფოსთან თანამშრომლობის გაღრმავება პრიორიტეტულია.

ქუვეითის სახელმწიფოს პრემიერ-მინისტრმა საქართველოს მთავრობის მეთაური ქუვეითში ვიზიტით მიიწვია. თავის მხრივ, ირაკლი კობახიძემ აჰმედ ალ აბდულა ალ აჰმედ ალ საბაჰი საქართველოში მოიწვია.

## ახალი მატარებელი თბილისი – ბაქო!

**პრემიერი: აზერბაიჯანში ვიზიტის დროს პრეზიდენტ ალიევთან საუბარი გვქონდა ბაქო-თბილისი-ბაქოს მიმართულებით სამგზავრო მატარებლის დანიშვნაზე, ჩვენი ქვეყნის მიმართ გულისხმიერებისთვის მინდა, მას პირადად გადავუხადო მადლობა.**

ძალიან მნიშვნელოვანია, რაც შეიძლება მეტი ადამიანის მოგზაურობა საქართველოდან აზერბაიჯანში, აზერბაიჯანიდან საქართველოში, მათ შორის იმისათვის, რომ კიდევ უფრო მეტად გაღრმავდეს ხალხთა შორის ურთიერთობები, ის ტრადიციული მეგობრობა, რომელიც ჩვენ ორ ხალხს აკავშირებს, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ დუბაიში ქართველ ჟურნალისტებს განუცხადა.

როგორც პრემიერმა აღნიშნა, ბაქო-თბილისი-ბაქოს მიმართულებით სამგზავრო მატარებლის დანიშვნა მნიშვნელოვანია, რადგან ორ ქვეყანას შორის მობილობა გაიზრდება, რაც კიდევ უფრო მეტად გააღრმავებს ხალხთაშორის ურთიერთობებს.

პრემიერ-მინისტრმა მადლობა გადაუხადა აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევს.

## მცირე წინათქმა

*გარემოებათა გამო, დევი სტურუასთან და მის ოჯახთან, სამოციანი წლებიდან მოყოლებული, ახლო ურთიერთობა მქონდა. იგი ჩემზე ხუთი წლით იყო უფროსი, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია, მეგობრები გავმხდარიყავით.*

*დევი სტურუას პიროვნული ღირსებები, მრავალმხრივი განათლება, კარგადაა ცნობილი და ამაზე არაერთხელ დაწერილა. ზედმიწევნით სიღრმისეულად იცოდა ქართული, რუსული, ევროპულ-ამერიკული ლიტერატურა, პოეზია და იშვიათი მეხსიერების პატრონს, შეეძლო ზეპირად წარმოეთქვა მსოფლიო შედევრთა მოზრდილი პასაჟები. ავტორია რამდენიმე ძალზე საყურადღებო მონოგრაფიისა. ცალკეა აღსანიშნავი მისი ნაყოფიერი ჟურნალისტური მოღვაწეობა. გამოკვეთილი მწერლური ნიჭის მქონემ, დაწერა მხატვრულად სრულყოფილი დოკუმენტური მოთხრობები, ჯერაც რომ ელოდება სათანადო შეფასებას.*

*ყველა ჭეშმარიტი ქართველი მამულიშვილის დარად, დევი სტურუაც უმწვავესად განიცდიდა, ავადმოსაგონარი ქაოსის წლებში, საქართველოს სხეულიდან, ბნელი ძალების ჩარევით (ამას ამაზრზენი შინაური ღალატიც დაემატა) ჩვენი ზღაპრული ისტორიული კუთხის – აფხაზეთის – ვერაგულად მოგლეჯას. ეს უმძიმესი ჭრილობა დღემდე გაუნელებელ ტკივილად გვრჩება. სწორედ ამ საჭირბოროტო თემას მიუძღვნა დევი სტურუამ პატარა აფხაზ გოგონაზე შექმნილი თავისი საუკეთესო მოთხრობათაგანი – „მადინათი“, რომელსაც მღელვარების, ყელში ცრემლის გორგალის მობჯენის გარეშე ვერავინ წაიკითხავს. აფხაზეთში მოსახლეთა გასაგონად და გონზე მოსაყვანად, იგი ავტორმა რუსულად დაწერა.*

*ამჟამად, როცა ახლო წარსულში დაშვებულ ორმხრივ შეცდომებს სულ უფრო მეტი ნათელი ეფინება (ჩემზე დამთრგუნველი შთაბეჭდილება მოახდინა ამას წინათ, „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულმა, სახელგანთქმული ნეიროქირურგის, ბატონ ნაპო მესხიას საფუძვლიანმა წერილმა – „სიმართლე აფხაზეთზე ანუ იმაზე, თუ როგორ გასხვისდა იგი“), გადავწყვიტე, ეს მოთხრობა ქართულად მეთარგმნა. ვფიქრობ, დევი სტურუას შეწუხებული სულის ამოძახილი, ერთხელ კიდევ შეახსენებს ენგურის გადაღმა და გადმოღმა მცხოვრებთ, რომ ჩვენს სამუდამოდ გათიშვას და ერთმანეთისადმი გაუცხოებას ვერავინ შესძლებს.*



*უმადურობის მაჩვენებელი და გასაკიცხია ადამიანთა უმრავლესობის ზნე თუ ბუნება; გვიჭირს, სიცოცხლეში მივაგოთ კუთვნილი პატივი ამა თუ იმ კეთილშობილი პიროვნების დამსახურებას. სამწუხაროდ, ასე დაგვემართა დევი სტურუას მიმართაც. ეს მგზნებარე, უტყუარი მოთხრობა, ქართველებმა და აფხაზებმა, მის სანუკვარ ოცნებად და ასახდენ ანდერძად უნდა ჩავთვალოთ.*

**ემზარ კვიტაიშვილი**
31 იანვარი, 2025 წ.

# მადინათი...



დევი სტურუა

**დავაზუსტე თუ არა, პოლიტოლოგთა საერთაშორისო სიმპოზიუმი ეშერაში უნდა გამართულიყო, მასში მონაწილეობაზე მაშინვე დავთანხმდი.**

**... ასაკი არა მარტო თმას, უპირველეს ყოვლისა, გრძნობებს ავერცხლისფერებს. ზღვაზე დამდგარი ოქტომბერი – ვერცხლის ხანაა, წინ რომ უძღვის დაოკებასა და სიმშვიდეს.**

**იქ კი, ჯადრების მცხუნვარე ჩრდილში, მიმალულია ჩავლილი სიჭაბუკე – გაურკვეველ სურვილთა აჩრდილი, ზრდისა და დამკვიდრების დამანგრეველი ძალა, რასაც გავარვარებული სილა და მლაშე ტალღა აგულიანებს; გაქეზებს მარადისად ყოფნის ილუზია, კუნთების უმიზეზო სიხარულით გაჩენილი, როცა სულში, წინათგრძნობად, სიყვარულის ჰიმნი გუგუნებს.**

ჩვენი „იაკ-40“, დასაფრენად, ზღვის მხრიდან ემზადებოდა. დაახლოებით, საღამოს ათი საათი იქნებოდა და გაჩირაღდნებული სოხუმი ჩემკენ აცხადებული ოცნების მირაჟივით მოექანებოდა. ვიცოდი – როგორც კი დავდგებოდი ტრაპის საფეხურზე – შემეგებებოდა ჭრიჭინობელების დაუცხრომელი ჭახჭახი – გადახმაურებული სიყმაწვილის უნაზესი გამოძახილი, ხოლო ოქტომბრისეული საღამოს ალერსიანი სიგრილე ჩამიჩურჩულებდა: არა უშავს, ნუ მოიწყენ, ძველო მეგობარო – დარჩა კიდევ ერთი შემოდგომის სიმღერა, კიდევ ერთი ხანგრძლივი გასეირნება, ჩამავალი მზის შესახვედრად...

დავბინავდი (ჩვენი პირობების შესაბამისად) ეშერის მშვენიერ სპორტულ სასტუმროში, სადაც მანამდე ოლიმპიური თამაშების ათლეტები ცხოვრობდნენ და ხელადვე გავეშურე ზღვისკენ, სიამოვნებით შევისუნთქე ნაცნობი, რბილი ჰაერი, შეგნებულად ვახშობდი ჩემს არსებაში ადრინდელი, გარდასული საღამოების გაღვიძებულ, ბუნდოვან ბგერებს...

პოლიტოლოგთა სიმპოზიუმი, მთლიანობაში, სხვა ამდაგვარი ფორუმებისგან არაფრით განირჩეოდა. მოხსენებები, შეტყობინებანი, დისკუსიები, წინასწარ დარიგებული და არავისგან წაკითხული რეფერატები – გამალებით განვითარებული გამამრავლებელი ტექნიკის ნაყოფი; დაბერებული და დანაღვლიანებული სახელმოხვეჭილი მეცნიერები, რომელთაც გაფაციცებით მეურვეობდნენ ენერგიული მეტრესები (მოძღვარი, ზედამხედველი), გრძელფეხება მთარგმნელები და უბრალოდ, ყანჩები, მეტრესებად გახდომას რომ ესწრაფვოდნენ, ყოჩაღი მეცნიერებათა კანდიდატები და მეტრესების მიერ შერჩეული ღონიერი ლაბორანტები, წინ და უკან მოსიარულენი, თავიანთი „დიპლომატებით“ ანდა „კეისებით“, თავისუფლად რომ წარმოთქვამდნენ სახელთა და მამის სახელთა უთვალავ რაოდენობას, თვით ყველაზე დაუჯერებელსაც. გადახეხილ ჯინსებში ჩაკვეხებული მეცნიერული ახალგაზრდობა უტევდა გადაქანცულ აკადემიკოსებს, ცდილობდნენ, საკუთარი ნაპრალი გაეჩინათ მეტრესებისაგან აღმართულ ვეება ციხე-კოშკებში. რაღა თქმა უნდა, იქვე იყვნენ ჟურნალისტები, რადიო და ტელეკომენტატორები, რომლებიც უღვთოდ ამახინჯებდნენ არა მარტო ეგზოტიკურ გვარ-სახელებს, არამედ ყველაფერს, რაც იმჟამად ეშერის სპორტკომპლექსის საკონფერენციო დარბაზში ხდებოდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, დაპირისპირებულმა მხარეებმა ვერაფერში ვერ დაარწმუნეს და გადაარწმუნეს ერთმანეთი, თუმცაღა, ოქროსფრად მოელვარე აფხაზეთის ბუნებით მოხიბლული პოლიტოლოგები მშვიდობიანად იყვნენ განწყობილი და ყოველგვარ მიკიბულ-მოკიბულ პოსტულატსა და თვით მძაფრ პოლემიკურ ამოფრქვევებსაც წინ უძღოდა უცვლელი თავაზიანი მიმართვა – „ძვირფასო კოლეგავ!“ რამდენადაც უცნაური არ უნდა მოგეჩვენოთ, ყურსაცვამები და სხვა სამთარგმნელო ტექნიკა ჩინებულად მუშაობდა, ცხადად გაგრძნობინებდა გრძელკანჭიანი მთარგმნელი ქალების თითქმის ვნებიან დაჩურჩულებასაც.

ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, სიმპოზიუმი ისე ჩატარდა, როგორც სიმპოზიუმს შეეფერებოდა.

სიმპოზიუმის მუშაობის ბოლო დღეს მისი მონაწილენი ორ გაკაწკაწებულ „იკარუსზე“ დასვეს და სოფელ ლიხნში წაიყვანეს. სავსებით დამშვიდებული პოლიტოლოგები, გზადაგზა, ბუნების სიმშვენიერით ტკბებოდნენ და წინასწარ განიცდიდნენ ამ მხარის უსაზღვრო სტუმართმოყვარეობას.

ეს სტუმართმოყვარეობა, არა მოჩვენებითი, არამედ შინაგანი სიუხვით სავსე, ყველასათვის გასაგები და სასურველია, გარდა სულგამოცლილი ბოროტი კაცისა, დაბრმავებული, გამოციებული თვალებით, ბნელი ზიზღით, კეთილ საწყისს რომ უგულებელყოფს. ეს ხომ ყოვლად მარტივი რამეა – ამ კუთხის მცხოვრები – გამრჯე და მამაცი აფხაზი, თავის სტუმართმოყვარეობით გეუბნება: შემობრძანდი ჩემს სახლში, მე ყველაფერი გავაკეთე, რათა დღეს შენ კარგად იყო და შეიყვარო ჩემი მხარე, რომელმაც წარსულში ბევრი განსაცდელი გადაიტანა. მე მინდა, რომ შენ შეგვიცნო და დაგვიმეგობრდე, სასიკეთო ამბავი წაიღო ჩვენზე შენს შორეულ მხარეში.“ ეს იგივეა, რაც ნერუდამ თქვა: „მე კაცი ვარ და მიყვარს ადამიანები, მიყვარხარ შენ, თუმცა არ ვიცი, ვინ ხარ.“ ამის გულისათვის მასპინძელი არ დაზოგავს არც სიკეთეს, არც დროს, არც სულის მხურვალებას. ამის გაგება ხომ ასე იოლია.

სიმორცხვისაგან სახეაჭრელებულმა აფხაზმა გოგონამ პოლიტოლოგებს დოქით ხელი გადააბანინა და ისინიც, ამ ფაქიზი რიტუალის მოთავების შემდეგ, თეთრქაღალდგადაკრულ გრძელ სკამებზე ჩამოსხდნენ, გაწყობილი სუფრის გარშემო.

მე, ის-ის იყო, სკამზე გადალაჯებას და ელეგანტური შესახედაობის მთარგმნელი ქალის გვერდით დაჯდომას ვაპირებდი, რომ უეცრად დავინახე, ჩემთან მობაჩუნდა, ასე, ორწლინახევრის გოგონა, თივთიკის თეთრი სამოსი ეცვა და თივთიკისავე თეთრი ქუდი ეხურა. მან პაწაწინა ხელები გამომიწოდა და მე იგი ხელში ავიყვანე. ირიბად გაჭრილი ლურჯი თვალები ჰქონდა. მაღლა აწეული ზედა ტუჩიდან სწორი, სადაფივით სარძევე კბილები უჩანდა. ქუდიდან ოქროსფერი კულულები გამოშლოდა. გოგონამ დაკვირვებით შემათვალიერა. მერე ლოყაზე თავისი სველი ტუჩები მომადო, კისერზე მაგრად მომხვია ხელები და გაიტრუნა.

აფხაზეთში, ისევე, როგორც საქართველოს მრავალ კუთხეში, არსებობს ერთი სანაქებო, გულითადი ჩვეულება. როდესაც მეზობელს სტუმარი ეწვევა, მეზობლები, ყოველგვარი მიპატიჟების გარეშე, მოდიან, რათა ჩაერთონ ლხინში, ხოლო თუ საჭირო გახდა, სუფრას ნუგბარი საჭმელები ანდა ღვინო შემოამატონ. ის ბავშვი ჩვენი მასპინძლის მეზობლის გოგონა აღმოჩნდა. მამამისს, ოცდახუთი წლის წარმოსადეგ ვაჟკაცს, უნდოდა, გოგონა წაეყვანა, მაგრამ იგი არ გაჰყვა, უფრო მაგრად შემომაჭდო ხელები კისერზე. მამისგან გავიგე, რომ გოგონას მადინათი ერქვა, შინაურულად, მადინა.

მალე მადინას დედა და ბებიაც მოვიდნენ, რომ სტუმარი „ტყვეობისგან“ ეხსნათ, სუფრასთან დაჯდომა შესძლებოდა. თქვენც არ მომიკვდეთ, ტყვეობაში დიდხანს და მყარად ვრჩებოდი, თვითონაც განუზომლად მახარებდა ამგვარი ტყვეობა.

დავათვალიერეთ მასპინძლის თვალწარმტაცი ეზო. მადინა, „სიქსტის მადონას“ ეს გაცოცხლებული ანგელოზი, ისევ ისეთივე ყურადღებით მაკვირდებოდა, მერე სველ ტუჩებს ლოყაზე მადებდა და, ჩახვეული, ყუჩდებოდა აუხსნელ ნეტარებაში. ყოველი ცდა, ჩემი თავი წაერთმიათ გოგონასთვის ჩემდა დიდად გასახარად, ამაო გამოდგა.

**...მადინათ! ჩემო უმშვენიერესო მადინა, ჩემო პაწაწინა და საამაყო გოგოცუნა! მე შენ ვერავისთვის გაგიმეტებ: ვერც დედის, ვერც მამის, ვერც შენი და-ძმებისთვის. მთელი ცხოვრება, ასე ჩახუტებული და ხელიხელჩაკიდებული ვივლით. შენ თვითონაც ვერ წარმოიდგენ, ჩემს სულში როგორ გააქარწყლე ყველა წყენა, რაც კი ოდესმე სხვადასხვა ცუდმა**

ადამიანებმა მომაყენეს. შენ ერთი სიტყვაც არ წარმოგითქვამს, ისე მამცნე: სამყარო მშვენიერია, ღირს, ამ ქვეყნად ცხოვრობდე, ქმნიდე და გიხაროდეს.

ყოველივე ამისათვის, მადლობას გიხდი, მადინათ! მთელ ქვეყნიერებაზე ყველაზე ლამაზო და ყველაზე ჭკვიანო ციცქნა მადინა!

**ოქტომბერი, 1983 წელი, ეშერა.**

## ბოლოსიტყვა

**ლიხნელო მადინათ, შენ ახლა 16 ან 17 წლისა იქნები. მე ახლა შენ მოგმართავ, ჩემო გოგონა: ვინაც არ უნდა გითხრას, არ დაუჯერო, რომ აფხაზები და ქართველები მტრები არიან, რომ არ შეუძლიათ მშვიდობიანი ცხოვრება და ერთმანეთის სიყვარული. მე ხომ ქართველი ვარ, მიყვარხარ და მახსოვხარ მთელი ეს წლები, როგორც მიყვარს და მახსოვს ოჩამჩირის რაიონის სოფელ ჯგერდა-აღუს მცხოვრები, დიდი ოჯახის პატრონი, დაუღალავად მშრომელი სოკრატ ბიგვავა, ვინაც გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ ოცი წლის პრაქტიკანტი საკუთარი შვილივით შემითვისა.**

რანაირად ვაკადრო ჩემს გულს, არ მიყვარდეს აფხაზეთისა და სრულიად საქართველოს დიდი პატრიოტი დიმიტრი გულია, ვინაც მის მიერ აფხაზურად თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“ მისახსოვრა?

სად იმყოფებით თქვენ, პატივცემულო ბაგრატ შინკუბა? რატომ არ ისმის თქვენი ხმა, იმის მომწოდებელი, რომ ზღვარი დაედოს ამ სიგიჟეს? ხომ გახსოვთ, 1967 წელს, სიტყვასიტყვით, ეს მითხარით: „აფხაზეთი ყველაზე თვალსაჩინო და აყვავებული ტოტია მძლავრი ქართული ხისა; თუ მოხლიჩე იგი და უცხო ნიადაგზე გადარგე – ხელადვე გახმება.“ ნუთუ დღეს თქვენ სხვანაირად ფიქრობთ და გრძნობთ? არაფრით არ მინდა ამის დაჯერება. თითქმის ამასვე მეუბნებოდნენ მე აფხაზეთის სახელოვანი შვილები, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები – გიორგი ძიძარია და ზურაბ ანჩაბაძე.

გაიხსენეთ, სამოციანი წლები, ჩემო ამომრჩევლებო, მე, როგორც თქვენი დეპუტატი, სიყვარულით გიკითხავდით ქართულ და რუსულ ლექსებს დიდი აფხაზი პოეტის გიორგი შერვაშიძისა, ვინაც ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის საუკეთესო მეგობარი იყო. გიორგი შერვაშიძე ერთნაირი ნიჭიერებით წერდა აფხაზურ, ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე, რაც მსოფლიო ლიტერატურაში უნიკალური მოვლენა გახლავთ.

ჩვენ ვინ მოგვცა იმისი უფლება, დავივიწყოთ, გავწყვიტოთ, დავანგრიოთ ყოველივე ეს?

თუკი ჩვენ, ქართველებმა და აფხაზებმა ერთმანეთს ხელი არ გავუწოდეთ, თუ დაუყოვნებლივ არ მოვათავეთ მტრების გასახარი, ყოვლად უაზრო და სამარცხვინო შინაომი, ჩვენი შთამომავლები ზიზღით იტყვიან ჩვენზე: მათ არ გაეგებოდა ჩვენი სასიცოცხლო ინტერესები, წინა პლანზე დააყენეს ანგარებიანი სიხარბე და ზღვარდაუდებელი ამბიციები. ისინი არ იყვნენ ღირსნი თავიანთი ხალხებისა, თავიანთი დიდი წინაპრებისა და თავისი დროისა.

**დევი სტურუა,**

**გაზეთი „თავისუფალი საქართველო“, №152 (255)**
**1994 წლის 24 სექტემბერი**

# რუზველტის მსგავსად, ტრამპსაც ნობელის პრემია სურს... უკრაინაში მშვიდობის დამყარებით

გერმანული რადიოსადგურის „დოიჩე ველეს“ (Deutsche Welle – „გერმანული ტალღა“) ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულია ანალიტიკური სტატია სათაურით „რუზველტის მსგავსად, ტრამპსაც ნობელის პრემია სურს, უკრაინაში მშვიდობის დამყარებით“ (ავტორი – კონსტანტინ ეგერტი), რომელშიც აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის სამშვიდობო ინიციატივის პერსპექტივაა განხილული.

გთავაზობთ პუბლიკაციას მცირე შემოკლებით:



**ბოლო დროს ვაშინგტონიდან და მოსკოვიდან ბევრი სიგნალი მოდის – დონალდ ტრამპის ადმინისტრაციას მტკიცედ აქვს განზრახული, უკრაინაში მშვიდობა დაამყაროს. ამბობენ, რომ თეთრ სახლს გეგმა უკვე შემუშავებული აქვს, თუმცა ჯერ კიდევ არის დასაზუსტებელი ზოგიერთი დებულება, ამიტომ მიუნჰენის უსაფრთხოების საერთაშორისო კონფერენციაზე, 14 თებერვალს, მისი საჯაროდ გამოცხადებანაადრევი იქნებაო. არ არის გამორიცხული, რომ დონალდ ტრამპის წარმომადგენელმა კიტ კელოგმა ომის დასრულების გეგმის გარკვეული დებულებები მაინც წარმოადგინოს. მიუნჰენის შემდეგ იგი კიევს უნდა ეწვიოს.**

სამომავლო გეგმამ რომ იმუშაოს, ამისათვის მთავარია, რომ მოსკოვი და კიევი მზად უნდა იყვნენ დიალოგის დასაწყებად და გარკვეულ დათმობებზე დასათანხმებლად.

## დონალდ ტრამპი – დღევანდელი თეოდორ რუზველტი?

**გადამდგარი** გენერალი ტიმ კელოგი დონალდ ტრამპის პრეზიდენტობის პირველი ვადის დროს აშშ-ის უშიშროების საბჭოში მუშაობდა. იგი ცნობილია იმით, რომ საზოგადოებამდე პრეზიდენტის განზრახვები მიაქვს – თუმც არასრული და შენიღბული სახით, მაგრამ მაინც. გაზეთ „ნიუ-იორკ პოსტისათვის“ მიცემულ ინტერვიუში გენერალმა, შუამავლობის მნიშვნელობაზე რომ ლაპარაკობდა, თითქოსდა გაკვრით მოიხსენია აშშ-ის 26-ე პრეზიდენტი თეოდორ რუზველტი, რომელმაც დიდი როლი შეასრულა რუსეთ-იაპონიის 1904-105 წლების დასრულებასა და სამშვიდობო შეთანხმების ხელმოწერაში. ამისათვის 1906 წელს თეოდორ რუზველტს ალფრედ ნობელის მშვიდობის პრემია მიანიჭეს. როგორც ჩანს, ეს მკაფიო მინიშნებაა: დონალდ ტრამპსაც იგივე მიზანი აქვს – მიიღოს ნობელის პრემია, ყველა კრიტიკოსის „გულის გასახეთქად“. მით უმეტეს, რომ თეოდორ რუზველტი, ისევე როგორც დონალდ ტრამპი, საგარეო პოლიტიკას აშშ-ის ინტერესების თვალსაზრისით ახორციელებდა.

კიტ კელოგი (და, ალბათ, ტრამპიც) თვლიან, რომ სანქციები, რომლებიც ჯო ბაიდენის ადმინიტრაციის მიერ იყო შემოღებული, არასაკმარისად ეფექტურია. მან არ გამორიცხა, რომ ახალი ადმინისტრაცია სანქციებს გააფართოვებს და გააძლიერებს იმ შემთხვევაში, თუ კრემლი მოქნილ პოლიტიკას არ გამოავლენს კიევთან მოლაპარაკების დროს. ეს მთლიანობაში შეესაბამება დონალდ ტრამპის მიერ დეკლარირებულ მტკიცე ნათქვამს, რომ იგი დასჯის ყველას, ვინც მის შეთავაზებას არ დაეთანხმება.

## ვლადიმერ პუტინი – დღევანდელი იოსებ სტალინი?

**კრემლი** აცნობიერებს, რომ შეიძლება მართლაც დაისაჯოს. ალბათ, ამიტომაც პუტინის პრესმდივანმა დიმიტრი პესკოვმა მოულოდნელად განაცხადა, რომ მისი შეფი თავის უკრაინელ კოლეგასთან მოსალაპარაკებლად მზად არის. და ეს ხდება მაშინ, როცა რამდენიმე დღის წინ კრემლი კატეგორიულად აცხადებდა – ვოლოდიმირ ზელენსკის პრეზიდენტობის მანდატი ამოეწურა, ვადა გაუვიდა და მას ლეგიტიმურობა არ აქვსო.

მართალია, კრემლს ჯერ არ მოუხდენია თავისი ადრინდელი განცხადებების დეზავუირება, რომლის თანახმად, მოლაპარაკების დასაწყებად აუცილებელია, რომ უკრაინამ სრულად გაიყვანოს თავისი ჯარები დონეცკის, ლუგანსკის, ხერსონისა და ზაპოროჟიეს ოლქებიდან, გამოაცხადოს ნეიტრალიტეტი და გაუქმდეს ანტირუსული სანქციები. როგორც ცნობილია, ვოლოდიმირ ზელენსკი ამ მოთხოვნებს არ ეთანხმება, რადგან მათი მიღება მისთვის როგორც ლიდერისათვის, პოლიტიკურ თვითმკვლელობას ნიშნავს. იმავდროულად, სერიოზულ ტერიტორიულ დათმობებზე დათანხმება მას მხოლოდ ასევე სერიოზული უსაფრთხოების გარანტიების მიცემის შემდეგ შეუძლია – ყველაზე ოპტიმალურია უკრაინის ნატოს წევრად მიღება. სხვათა შორის, ვოლოდიმირ ზელენსკისათვის შეშფოთების საფუძველი უნდა იყოს კიტ კელოგის მიერ ნახსენები ფრაზა – „ვლადიმერ პუტინი მზად არის ბოლო რუს მოქალაქემდე იბრძოლოს... 1942-43 წლებში სტალინგრადისათვის ბრძოლებში საბჭოთა კავშირმა ექვსი თვის განმავლობაში 700 ათასი ჯარისკაცი გაწირა ისე, რომ თვალიც კი არ დაუხამხამებიაო“. რა თქმა უნდა, ასეთი ნათქვამი რუსული დიქტატურის შესაძლებლობების აშკარა გადაჭარბებაა: ყველაფერი ასე უბრალოდ რომ იყოს, ვლადიმერ პუტინი დიდი ხნის წინ გამოაცხადებდა მობილიზაციას და კიევისაკენ მიმავალ გზას სულ რუსი მებრძოლების გვამებით მოჰფენდა.



მაგრამ ვლადიმერ პუტინის რუსეთი იოსებ სტალინის დროინდელი საბჭოთა კავშირი არ არის. მეორე მსოფლიო ომისაგან განსხვავებით, უკრაინასთან ომი რუსეთის მოსახლეობის მიერ არ არის აღქმული როგორც ომი სამშობლოს ბედისა და მომავლისათვის. დღევანდელი რუსეთი უფრო მდიდარი და უფრო გულგრილია, ვიდრე 1942 წელს საბჭოთა კავშირი იყო. ვლადიმერ პუტინი უფრო უარესად აკონტროლებს სახელმწიფო აპარატს, ვიდრე იოსებ სტალინი აკონტროლებდა (გავიხსენოთ რუსული ბიუროკრატიის პარალიჩი „ვაგნერის“ ამბოხის დროს). და ბოლოს, ვლადიმერ პუტინი, ასაკის მიხედვით, ამჟამად ათი წლით უფროსია სტალინგრადის ბრძოლის დროინდელ „კრემლელ კავკასიელთან“ შედარებით.

კაცმა რომ თქვას, ვლადიმერ პუტინს მართლაც გარკვეული შიში აქვს დონალდ ტრამპის არაპროგნოზირებადობისა და იმპულსიურობის მიმართ. თუ კიტ კელოგი და მისი შეფი ამას ვერ ხვდებიან, მაშინ ისინი კარგავენ შანსს კრემლი მოლაპარაკებაზე და დათმობებზე აიძულონ.

**მოამზადა**

**სიმონ კილაძე**

**წყარო:** https://www.dw.com/ru/tramp-hocet-nobelevku-kak-ruzvelt-za-mir-v-ukraine/a-71542843

# სწორედაც რომ ფარული დასი!

# ბატონი იაკობ ლეჟავას ლინგვისტურ-მორფოლოგიური დიდაქტიკის პასუხად




**ბოლო დროს საერთაშორისო პოლიტიკურ ლექსიკონში აქტიურად შემოიჭრა ტერმინი დიფ სთეითი (ინგლ. Deep State — ღრმა სახელმწიფო), რომელსაც „ასავალ-დასავალის" მთავარმა რედაქტორმა *ლაშა ნადარეიშვილმა* ქართულენოვანი აუდიტორიისათვის უფრო გასაგები და მარტივად აღსაქმელი განმარტება — *ფარული დასი* შეურჩია.**

შესაბამისად, ჩვენს საავტორო თუ სარედაქციო პუბლიკაციებში **დიფ სთეითს** მოვიხსენიებთ როგორც **ფარულ დასს**, რასაც „ასავალ-დასავალის" მრავალრიცხოვანმა მკითხველმაც უმალ აუღო ალღო და არაერთმა რესპონდენტმაც აუბა მხარი, რადგან **ფარული დასი** უფრო მოქნილ და მარჯვე ტერმინად მიიჩნია, ვიდრე **დიფ სთეითის** პირდაპირი და სტანდარტული თარგმანი — **ღრმა სახელმწიფო.**

თუმცა, ბატონ **იაკობ ლეჟავას**, რომელიც ქართული პრესის ფურცლებზე დროდადრო გამოჩნდება ხოლმე, **დიფ სთეითის** „ასავალ-დასავალისეული" გადმოქართულება — **ფარული დასი** — არ მოსწონებია და ერთბაშად ორ **გამოცემაში — „საქართველოს რესპუბლიკასა"** და **„საერთო გაზეთში"** გამოუქვეყნებია წერილი იმის შესახებ, რომ დიფ სთეითისათვის ფარული დასის დაძახება, თურმე, „გვარიანი შეცდომაა".

არადა, **ბატონი ლეჟავა** მისი პუბლიკაციის პირველივე აბზაცში აღნიშნავს, რომ „**Deep State**"-ის სიტყვასიტყვითი თარგმანი ბევრს არაფერს გვეუბნება" და ტერმინი **„ღრმა სახელმწიფო"** არათუ ქართულად, რუსულად ან სხვა ენებზე მოლაპარაკე ადამიანებისათვის, არამედ თავად ინგლისურენოვანთათვისაც კი სრულად გასაგები არ არის.

მაშ, რას ერჩის და რას უწუნებს **ბატონი ლეჟავა** ტერმინ **დიფ სთეითის** „ასავალ-დასავალისეულ" ინტერპრეტაციას — **ფარულ დასს**, რომელიც აშკარად უფრო ჩაუხლართავი და იოლად აღსაქმელია, ვიდრე მისი სიტყვასიტყვითი თარგმანი — **ღრმა სახელმწიფო**?

**ბატონი ლეჟავას** აზრით, პრობლემა, თურმე, ის არის, რომ სიტყვა **დასი** მხოლოდ დადებითი კონოტაციის მატარებელია და უარყოფითი შინაარსის სიტყვებთან მისი შეწყვილება არაფრით შეიძლება.

აი, რას წერს იგი თავის წერილში „**Deep State — ფარული დასი?"**:

> *„სიტყვა „**დასი**" დადებითი შინაარსის მატარებელი სიტყვაა..."* ***(იხ. „საქართველოს რესპუბლიკა", 2025 წლის 3 თებერვალი, 112-13, გვ.7).***

მოიცადეთ, ბატონო იაკობ, აქ სიტყვა „სიტყვა" ორჯერ რატომ გამოიყენეთ?

ჯობდა, ასე დაგეწერათ: **დასი დადებითი შინაარსის მატარებელი სიტყვაა.**

ან ასე: „სიტყვა **დასი** დადებითი შინაარსის მატარებელია".

თქვენივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „გვარიანი შეცდომა" მოგივიდათ, თუმცა, ამ ტავტოლოგიაზე ყურადღებას არც კი გავამახვილებდით, თავად თქვენი წერილი რომ არ გამოსცემდეს ლინგვისტურ-მორფოლოგიური დიდაქტიკის ექოს.

მოკლედ, **ბატონი იაკობ ლეჟავა** წერს:

> *„სიტყვა „დასი" დადებითი შინაარსის მატარებელი სიტყვაა, ვინაიდან, როგორც წესი, ის ასოცირდება თეატრთან, მუსიკასთან და, ამიტომაცაა ის დაწყვილებული შემდეგ სიტყვებთან: თეატრალური ან მსახიობთა დასი, მუსიკალური ან დამკვრელების დასი..."* ***(იხ. „საქართველოს რესპუბლიკა", 2025 წლის 3 თებერვალი, 112-13, გვ.7).***

აქ კვლავ ტავტოლოგია მოგივიდათ, **ბატონო იაკობ**, რადგან ნაცვალსახელი **„ის"** ერთის მაგივრად ორჯერ გაქვთ გამოყენებული ისე, რომ ამის არავითარი საჭიროება არ არსებობს:

> *„**ის** ასოცირდება თეატრთან, მუსიკასთან და, ამიტომაცაა **ის**-დაწყვილებული შემდეგ სიტყვებთან..."*

**არადა, ასე უნდა დაგეწერათ:**

„ის ასოცირდება თეატრთან, მუსიკასთან და, ამიტომაცაა დაწყვილებული შემდეგ სიტყვებთან..."

თუმცა, მოდით, **ბატონი ლეჟავასათვის** მართლწერის გაკვეთილების ჩატარებას ჩვენს თავზე ნუ ავიღებთ და მისი პუბლიკაციის წაკითხვა ისე გავაგრძელოთ, თითქოს ქართული ენის სინტაქსურ თავისებურებათა შესახებ ლექციას რომელიმე დიდი ენათმეცნიერი ან ლიტერატორი გვიტარებდეს:

> *„ქართულში ის (**„დასი". რედ.**) იხმარებოდა და დღესაც იხმარება საზოგადოებრივი დაჯგუფების, პოლიტიკური მოძრაობის, მიმდინარეობის თუ ორგანიზაციის აღმნიშვნელადაც, როგორც, მაგალითად, პირველი (მეორე, მესამე) დასი, სახალხო დასი, ქართული დასი. ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია ვიხმაროთ როგორც მსახიობთა ჯგუფი, ისე მსახიობთა დასი..."* ***(იხ. „საქართველოს რესპუბლიკა", 2025 წლის 3 თებერვალი, 112-13, გვ. 7).***

უკაცრავად, ძვირფასო მკითხველო, მაგრამ იძულებული ვართ, ზემოთ დადებული პირობა — **ბატონი იაკობ ლეჟავასათვის** მართლწერის გაკვეთილების ჩატარებას ჩვენს თავზე არ ავიღებთო — ამ ერთხელ დავარღვიოთ და პატივცემულ ავტორს მივუთითოთ, რომ სიტყვა „**ხმარების**" უთავბოლო **ხმარებ**ა ზოგჯერ ფრიად უხერხულ სიტუაციას წარმოქმნის, რის გამოც ჯობს, „**ხმარების**" მაგივრად „**გამოყენებ**ა" იქნეს **ნახმარი**.

აბა, დააკვირდით, რა გამოდის **ბატონი ლეჟავას** ნაწერიდან:

> *„ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია ვიხმაროთ მსახიობთა ჯგუფი ან მსახიობთა დასი".*

**ბატონო იაკობ, თქვენს ასაკში თუ იმდენი შეგიძლიათ, რომ მსახიობთა მთელი ჯგუფი იხმაროთ და, თანაც, როგორც წერთ, თავისუფლად იხმაროთ, ბარაქალა თქვენს მამაკაცურ პოტენციას, მაგრამ საგაზეთო პუბლიკაციიდან ეს ცოტა პორნოგრაფიულად ხომ არ ჟღერს?**

ცოტა კი არა, სულ მთლად ჯგუფური პორნოგრაფია გამოდის!

ასე რომ, **ბატონო იაკობ**, ჩვენი კეთილი რჩევა იქნება, **სიტყვა „ხმარების" ხმარებას მომავალში უფრო დაკვირვებულად და ყურადღებით მოეკიდოთ!**

ახლა კი, ძვირფასო მკითხველო, ნამდვილად გპირდებით, რომ გრამატიკის გაკვეთილებს აღარ მივუბრუნდებით და **ბატონი იაკობ ლეჟავას** პუბლიკაციას ბოლომდე უკომენტაროდ ჩავიკითხავთ:

> *„არაფრით არ შეიძლება მისი (**„დასის". რედ.**) დაწყვილება ისეთ სიტყვებთან, რომლებიც უარყოფითი, მიუღებელი, დანაშაულებრივი და ა.შ. შინაარსისანი არიან — მაგალითად, შეგვიძლია ვთქვათ კრიმინალების ჯგუფი, დაჯგუფება, მაგრამ რაც არ უნდა ორგანიზებული იყოს ეს დაჯგუფება ერთ კოლექტივად, არავის არ მოუტრიალდება ენა, მათზე თქვას კრიმინალების დასი, ან, გნებავთ, ფარული დასი, ანუ არ შეიძლება დანაშაულებრივი!„ საქმეების ფარულად ჩამდენთა დაჯგუფებას, რომელსაც ამერიკის პრეზიდენტმა ომი გამოუცხადა საჯაროდ, ეწოდოს დასი! „ფარული" და „დასი" შეუთავსებელი სიტყვებია, თითქმის, — ოქსიმორონი! ამიტომაც, მათი დაწყვილება, ჩემი აზრით არასწორია და მიუღებელი!"* ***(იხ. „საქართველოს რესპუბლიკა", 2025 წლის 3 თებერვალი, 112-13, გვ. 7).***

ჯერ ერთი, სრულიად გაუგებარია, რას ეფუძნება **იაკობ ლეჟავას** ლოგიკა იმის შესახებ, რომ სიტყვა **დასი**, თურმე, მხოლოდ დადებითი შინაარსის მატარებელია და არ შეიძლება, უარყოფითი შინაარსის მქონე სიტყვებს შეუწყვილდეს?

რაკი ქართულ ენაში სიტყვათშეთანხმება **„მსახიობთა დასი"**, **„თეატრალური დასი"**, **„მუსიკოსთა დასი"**, **„სასულიერო დასი"** ან სულაც **„ანგელოზთა დასი"** გამოიყენება, ეს დასს მხოლოდ ერთი მნიშვნელობის მქონე სიტყვად აქცევს და მის ყველა სინონიმს ავტომატურად აუქმებს?

მაშ, რა გავუხერხოთ **ალექსანდრე ნეიმანის „ქართულ სინონიმთა ლექსიკონს"**, რომელშიც **დასის** სინონიმებად მოცემულია **დასტა, ნახირი, რაზმი, გუნდი, ჯგუფი, წყება და კრებული?**

ან რა ვუყოთ **„ძველი ქართული ენის შეერთებულ ლექსიკონს"**, რომელიც **დასს** განმარტავს, როგორც **„ჯარისკაცთა რაზმს"**, **„გვარსა"** და **„მოდგმას"**?

ანდა სად წავიღოთ **„უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი"**, რომელშიც **დასის** განმარტებად **„მსახიობთა კოლექტივთან"** ერთად მითითებულია **„გუნდი"**, **„კრებული"** და **„საზოგადოებრივი დაჯგუფება"**?

ასე და ამგვარად, ჩვენ რომ **დიფ სთეითისათვის „ფარული ნახირი"**, **„ფარული რაზმი"**, **„ფარული გუნდი"**, **„ფარული ჯგუფი"**, **„ფარული კრებული"**, **„ფარული წყება"**, **„ფარული გვარი"** ან **„ფარული მოდგმა"** გვეწოდებინა, ეს, სემანტიკური თვალსაზრისით, აბსოლუტურად იგივე იქნებოდა, რაც **ფარული დასი**, მაგრამ, ფორმის თვალსაზრისით, სრულიად სწორხაზოვანი, პროზაული და, პირდაპირ ვთქვათ, უნიჭო სიტყვათწყობა გამოვიდოდა, რომლითაც მხოლოდ იმას მივაღწევდით, რომ **ბატონი იაკობ ლეჟავა** არ აღელდებოდა და **ერთბაშად ორ რედაქციაში** არ აფრენდა წერილს „ასავალ-დასავალისეული" ტერმინის უარსაყოფად.

ისე, **ბატონ ლეჟავას**, რომელსაც მიაჩნია, რომ **დასი** მხოლოდ დადებითი შინაარსის მქონე სიტყვებს უნდა შეუწყვილდეს, მარტო „ასავალ-დასავალისეული" ტერმინის — **ფარული დასის** წინააღმდეგ გალაშქრება კი არა, ქართულ საისტორიო წყაროებთან ჭიდილიც მოუწევს, რადგან იქ თამარ მეფის წინააღმდეგ აჯანყებული ფეოდალები **„ყურთლუ-არსლანის დასად"** არიან წოდებული, ხოლო თავად მოვლენა — სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ

ფეოდალთა აჯანყება — **„ყურთლუ-არსლანის დასის გამოსვლად"** მოიხსენიება.

არადა, **ბატონი ლეჟავას** ლოგიკით, თამარის წინააღმდეგ აჯანყებული ფეოდალებისათვის, რომლებიც, დღევანდელი ტერმინით რომ ვთქვათ, სახელმწიფო გადატრიალებას აწყობდნენ, ცენტრალური ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი ორგანოს — ე.წ. კარავის შექმნას აპირებდნენ და მეფისათვის მხოლოდ ნომინალური ძალაუფლების დატოვება უნდოდათ, მემატიანეს **ყურთლუ-არსლანის დასის** მაგივრად **ყურთლუ-არსლანის ბანდა** უნდა ეწოდებინა.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, **პატივცემული იაკობ ლეჟავა** თვითონაც სულ ტყუილად გაისარჯა და **ერთბაშად ორი გაზეთის ფურცლებიც** ფუჭად მოაცდინა, რადგან „ასავალ-დასავალისეული" ტერმინი — **ფარული დასი** — შინაარსითაც და ფორმითაც ზუსტად გამოხატავს იმას, რასაც ე.წ. **დიფ სთეითი**, ანუ ამერიკული სახელმწიფოს კულისებსა თუ იატაკქვეშეთში მოქმედი ბოროტი და შავბნელი ძალა წარმოადგენს.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ **დიფ სთეითი** თავისი მსახვრალი საქმიანობის შენიღბვას დემოკრატიით, კანონის უზენაესობით, ლიბერალიზმით, პოლიტიკური პლურალიზმით, ადამიანის უფლებებითა და სხვა მსგავსი კეთილშობილური ცნებებით ცდილობს, ტერმინი **ფარული დასი** მას **იაკობ ლეჟავასეული** გაგებითაც კი ზედმიწევნით მიესადაგება.

ამდენად, ჩვენი ღრმა რწმენით, **დიფ სთეითს** სწორედ რომ **ფარული დასი** უნდა ეწოდებოდეს!

თქვენ, **ბატონო იაკობ**, როგორც თავად წერთ, თავისუფლად შეგიძლიათ, **მსახიობთა დასი იხმაროთ** და **მუსიკოსთა დასიც იხმაროთ**, მაგრამ ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ **პოლიტიკურად ვიხმაროთ ფარული დასი**, რომელსაც ამერიკის პრეზიდენტმა დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა და რომელიც არამხოლოდ ამერიკულ, არამედ ქართულ სახელმწიფოსაც უთხრის ძირს!

**დონალდ ტრამპის** ცნობილი სიტყვების პერიფრაზი რომ მოვახდინოთ, **თუ ჩვენ არ ვიხმართ ფარულ დასს, მაშინ ფარული დასი იხმარს საქართველოს!**

და თქვენ რომლის **ხმარებას** ემხრობით, ბატონო იაკობ?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად **ერთბაშად ორ გაზეთს ნუ იხმართ**, ერთის გამოყენებაც საკმარისი იქნება!

**ჯაბა ხუბუა**

დაიბეჭდა „ასავალ-დასავალის" თავაზიანი ნებართვით



# წულუკიანმა ნაცების დამთავრება უნდა შეძლოს!

## 2003-2012 წლებში მოქმედი რეჟიმის საქმიანობის შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის პირველი სხდომა

**სხდომამ** დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარედ პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, ფრაქცია „ქართული ოცნების" წევრი **თეა წულუკიანი** აირჩია, კომისიის მდივნად კი, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, პოლიტიკური ჯგუფის „ხალხის ძალის" წევრი – **სოზარ სუბარი**.

როგორც თეა წულუკიანმა განაცხადა, კომისიის საქმიანობის მთავარი შედეგი იქნება დოკუმენტი, ისტორიული მნიშვნელობის დასკვნა და კომისიის მუშაობა დაეფუძნება მხოლოდ და მხოლოდ ფაქტებს.

**„ჩვენ ფაქტებზე დაფუძნებულად უნდა შევქმნათ დოკუმენტი, რომელიც ისტორიას დარჩება. ნებისმიერი ადამიანი, ვინც გარკვეული წლების შემდეგ ჩაიხედავს ამ დოკუმენტში, ეცოდინება ვინ და როგორ მართავდა ქვეყანას 2003-2012 წლებში. აი, ეს არის მთავარი!**

**ჩვენ შევეცდებით, ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ ის დასკვნა, რომელსაც პარლამენტის პლენარულ სხდომაზე წარვადგენთ, იყოს ღირსეული და მართლაც, ისტორიული მნიშვნელობის. ეს ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა", – აღნიშნა კომისიის თავმჯდომარემ.**

* * *

**თეა წულუკიანმა** აღნიშნა, რომ რეჟიმის შეფასებისას, კომისია დაეყრდნობა ქართული სასამართლოების განაჩენებს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს, საერთაშორისო ანგარიშებს და სხვა ოფიციალურ დოკუმენტებს.

**„არაერთ მნიშვნელოვან საქმეზე განაჩენია დამდგარი ქვეყნის შიგნით ქართული სასამართლოების მხრიდან. ჩვენ მოგვიწევს ვიხელმძღვანელოთ იმ პრინციპით, რასაც ჰქვია Res judicata. ჩვენ არ ვართ ის ორგანო, რომელმაც კანონიერ ძალაში შესული განაჩენი შეიძლება გადასინჯოს ან გადახედოს. ჩვენ ასეთ განაჩენებს გამოვითხოვთ და მათ დავეყრდნობით რეჟიმის შესაფასებლად. ასევე, იმავე პრინციპით, ჩვენ დავეყრდნობით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს. ასეთიც არაერთი არსებობს და გამოვიყენებთ ამ მასალას, როგორც უკვე შემდგარ ფაქტს იმიტომ, რომ ამ განაჩენებსა და გადაწყვეტილებებში ყველა ფაქტი შესწავლილია, დახასიათებაც მოცემულია და უფრო მეტიც – კვალიფიკაციაც, ან სანქციაა დამდგარი სტრასბურგში ან სასჯელი საქართველოში. ეს იქნება ჩვენი ინფორმაციის მეორე წყარო. მესამე წყარო კი, ახალი ინფორმაციები იქნება**", – განაცხადა კომისიის თავმჯდომარემ.

**მართლმსაჯულების სასამართლოში დავა რუსეთის წინააღმდეგ უკეთესად მომზადებულიყო და ცხელ კვალზე, ასე ვთქვათ, მოგებულიც ყოფილიყო", – განაცხადა კომისიის თავმჯდომარემ.როგორც თეა წულუკიანმა კომისიის სხდომის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, კომისიის მიერ მოსმენაზე მოწვეულ პირს კანონით აქვს ვალდებულება. ითანამშრომლოს კომისიასთან. „ითანამშრომლებს თუ არა „ნაციონალური**



თეა წულუკიანმა აღნიშნა, რომ კომისია ყველა მიმართულებით იმუშავებს, იქნება ეს სასჯელაღსრულების, სასამართლოს, ჩამორთმეული ქონებების, საჯარო მოხელეების, არჩევნების თუ სხვა რომელიმე მიმართულება.

**„ომის ნაწილში, ჩვენ დავინტერესდებით პოლიტიკური თანამდებობის პირების საქმიანობით. შესაძლებელი იყო თუ არა, თუნდაც ის, რომ ჰააგის**

**მოძრაობა" დროებით საგამოძიებო კომისიასთან ეს კითხვა არ დგას, რადგან კანონით მათ აქვთ თანამშრომლობის ვალდებულება და თუ რომელიმე მათგანი, მას შემდეგ, რაც ჩვენ მოვიწვევთ მოსმენაზე, უარს განაცხადებს მობრძანებაზე, ჩვენი კანონმდებლობა ამ შემთხვევაში საკმაოდ მკაცრ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს"**, – განაცხადა კომისიის თავმჯდომარემ.

არის ასეთი აზრიც!

# ჯემალ გამახარია: აფხაზებს იქ საერთოდ არ შეუშვებენ – სოხუმის აეროპორტი მთლიანად რუსული იქნება!

**სოხუმის** აეროპორტი მთლიანად რუსული იქნება და არა მხოლოდ სამოქალაქო, არამედ სამხედროც – საერთაშორისო თანამეგობრობამ, ევროკავშირმა, ნატომ ამას ყურადღება უნდა მიაქციოს, რადგან ომი დასრულდება და ეს სამხედრო თვითმფრინავები უფრო ევროპის და ნატოს წინააღმდეგ იქნება მიმართული, ვიდრე ჩვენ წინააღმდეგ, – ამის შესახებ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ჯემალ გამახარიამ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მისი თქმით, სოხუმის აეროპორტის ძირითადი მომსახურე პერსონალი რუსეთიდან ჩამოდის და აფხაზებს იქ საერთოდ არ შეუშვებენ.

**„7 თებერვალს, ბადრა გუნბა ჩამოფრინდა სოხუმში. ესეც წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილი გახდა – აეროპორტის საცდელი ფრენის ჩატარება და ის, რომ გუნბა ჩამოდის მოსკოვიდან თვითმფრინავით, ჩამოჰყავთ სტუდენტები, ჟურნალისტები. ეს ყველაფერი საზეიმო ვითარებაში მოხდა, მაგრამ ეს საზეიმო ვითარება ჩაამწარა იმან, რომ შესაბამის დოკუმენტებში, რომელიც ფრენასთან იყო დაკავშირებული ეწერა: აეროპორტი – ბაბუშარის, ქვეყანა – საქართველო, რუსულად და ინგლისურად. ბილეთის მაგიერ ტალონზე სოხუმი წერია და არა Akua an Sokhum, როგორც ისინი დღეს ეძახიან. ეს იმითაა გამოწვეული რომ, არსებობს სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, ICAO, სადაც დაფიქსირებულია ზუსტად ასე, რომ ეს არის საქართველო, სოხუმი. ICAO-ს ჯერ არანაირი ნებართვა არ გაუცია, მაგრამ ელემენტარული წესები დაიცვეს და დააფიქსირეს, რომ ეს აეროპორტი მდებარეობს საქართველოში და ჰქვია სოხუმი. მხოლოდ ამად ღირდა ეს საცდელი ფრენა. თუმცა ეს საცდელი ფრენა იყო წინასაარჩევნო კამპანიის შემადგენელი ნაწილი. არ ვიცი, რამდენად შეუწყობს ეს ხელს ბადრა გუნბას რეიტინგის ამაღლებას, მაგრამ ოპოზიციაც აღიარებს, რომ ეს დიდი მოვლენაა. ისინი არ ითვალისწინებენ, რომ როგორც აპარტამენტების გეგმა რომ განხორციელებულიყო, მოჰყვებოდა აფხაზეთში დიდი რაოდენობით რუსების ჩამოყვანა და დასახლება, ზუსტად ასევე იქნება – ამ აეროპორტის ძირითადი მომსახურე პერსონალი ჩამოდის რუსეთიდან. ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს არის არა მხოლოდ სამოქალაქო, არამედ ხელშეკრულებით, რაც სოხუმმა და მოსკოვმა გააფორმა, სამხედრო აეროპორტიც. შესაბამისად, იქ აფხაზებს საერთოდ არ შეუშვებენ შიგნით. ეს მთლიანად რუსული აეროპორტი იქნება და არა იმდენად სამოქალაქო, რამდენადაც სამხედრო. უკრაინელებს შეუძლიათ სოჭს მისწვდნენ, როსტოვში კი ფაქტობრივად აეროპორტი არ ფუნქციონირებს – ამ პირობებში, სოხუმის აეროპორტი, ისევე როგორც ოჩამჩირის საზღვაო პორტი, მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ასე რომ, ამ საკითხს დარწმუნებული ვარ, ყურადღებას მიაქცევს არა მხოლოდ ჩვენი ხელისუფლება, არამედ საერთაშორისო თანამეგობრობამ, ევროკავშირმა, ნატომ ამას ყურადღება უნდა მიაქციოს, რადგან ომი დასრულდება და ეს სამხედრო თვითმფრინავები უფრო ევროპის და ნატოს წინააღმდეგ იქნება მიმართული, ვიდრე ჩვენს წინააღმდეგ. აქ იქნება სერიოზული სამხედრო ბაზა", – განაცხადა ჯემალ გამახარიამ, მედიაჰოლდინგ „კვირაში" გამართულ პრესკონფერენციაზე.**



საქართველოს რესპუბლიკა
გზად, მომავლისკენ!
№21. პარასკევი, 14 თებერვალი, 2025 წელი

დედაქალაქი

# ჯანდაცვა, სპორტი უფროსი თაობისთვის

## 12 თებერვალს გაიმართა თბილისის მთავრობის სხდომა



**თბილისის** მერიის „ტრანსპლანტაციის პროგრამის" ფარგლებში, ღვიძლისა და ძვლის ტვინის (ღეროვანი უჯრედების) გადანერგვა მიმდინარე წელსაც დაფინანსდება. ღეროვანი უჯრედების ტრანსპლანტაციის შემთხვევაში, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური, გადანერგვის წინა კვლევებს, მაღალდოზირებულ ქიმიოთერაპიას, სამი სახის ტრანსპლანტაციას (აუტოლოგიური, ალოგენური, ჰაპლოიდენტური), გადანერგვის წინა და შემდგომი პერიოდის მართვას სრულად აფინანსებს. თბილისის მერია, ერთი პაციენტის დასაფინანსებლად, 10 ათასიდან 235 ათას ლარამდე თანხას გამოყოფს. 2024 წელს 101 შემთხვევა დაფინანსდა, რისთვისაც საქართველოსა და უცხოეთის კლინიკებში, დაახლოებით 7,5 მლნ ლარი გადაირიცხა. რაც შეეხება ღვიძლის ტრანსპლანტაციას,აღნიშნულის საჭიროების შემთხვევაში, დღეისთვის, პროგრამით გათვალისწინებული დაფინანსება სრულად ხდება და ერთი მოქალაქისთვის 120 ათასი ლარი გამოიყოფა. პროგრამის დაწყებიდან – 2018 წლიდან დღემდე, საქართველოში ღვიძლის გადანერგვის 50 შემთხვევა დაფინანსდა. 2025 წლის ბიუჯეტში „ტრანსპლანტაციის პროგრამისთვის" 10 მლნ ლარამდეა განსაზღვრული.

* * *

**მერიის** ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური კიდევ ერთი პროექტის განხორციელებას იწყებს. ისნის რაიონში დაიგეგმა აწყურის ქუჩის სრული რეაბილიტაცია-განახლება, რომლის ინფრასტრუქტურაც საკმაოდ მძიმე მდგომარეობაშია. შესაბამისი სამუშაოები აწყურის ქუჩაზე, ლეხ კაჩინსკის ქუჩიდან ვაჟა ჩაჩავას ქუჩამდე არსებულ საგზაო მონაკვეთში განხორციელდება. პროექტის პირველ ეტაპზე, კომპანია GWP წყალმომარაგებისა და წყალარინების ცენტრალურ ქსელებს შეცვლის. ასევე, განახლდება გაზმომარაგების ქსელი. მომდევნო ეტაპზე, დაიწყება სანიაღვრე ქსელის მოწყობა და საგზაო სამუშაოები. ამასთანავე, საჰაერო სადენების გადატანა მოხდება სპეციალურ მიწისქვეშა კაბელ-არხებში. მოეწყობა განათების ბოძები LED სანათებით. გზის სავალ ნაწილზე მისი განხორციელებისთვის დედაქალაქის ბიუჯეტიდან 5 მლნ ლარია გათვალისწინებული.

* * *

**სამგორის რაიონში**, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N12-ში უეფა-ს სტანდარტების შესაბამისი ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედანი მოეწყობა. პროექტის ფარგლებში, სტადიონის ერთ მხარეს განთავსდება ტრიბუნა, რომელიც 146 მაყურებელზეა გათვლილი. ადგილები გათვალისწინებულია შშმ პირთათვისაც. ასევე, მოეწყობა გასახდელი და აღიჭურვება შესაბამისი ინვენტარით. აღნიშნული პროექტის განხორციელება ადგილობრივი მოსახლეობის თხოვნა იყო. უამრავი ახალგაზრდაა დაკავებული სპორტით, ფეხბურთით. რა თქმა უნდა, ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და ახალგაზრდების წახალისება ჩვენთვის პრინციპულად მნიშვნელოვანია. პროექტისთვის, რომელსაც სამგორის რაიონის გამგეობა განახორციელებს, სამ მლნ ლარზე მეტი გამოიყოფა. სამუშაოები 2026 წლის ბოლოს დასრულდება.

* * *

**თბილისის** მერია განაგრძობს პროგრამას – „სპორტი უფროსი თაობისთვის", რითაც საშუალებას ვაძლევთ 60 წლის და მეტი ასაკის მქონე მოქალაქეებს, გამოიყენონ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა სპორტული ინფრასტრუქტურა – საცურაო აუზები და ფიტნეს დარბაზები ყოველგვარი გადასახადების გარეშე. დღეის მდგომარეობით, აღნიშნულ პროგრამაში 2 500-მდე მოქალაქეა ჩართული. პროგრამა პერიოდულად ფართოვდება. ამჯერად, აღნიშნულ პროგრამას შემოუერთდა შპს „ასპრია ჯგუფი" ორი სპორტული ობიექტით და შპს „ფაუერ მაქსი" – ერთი ობიექტით. ისინი, თბილისის მერიასთან პარტნიორობის ფარგლებში, შესაბამისი ასაკის მქონე მოქალაქეთა მომსახურებას უსასყიდლოდ უზრუნველყოფენ. ახალი ობიექტების გარდა, აღნიშნული პროგრამა ხორციელდება შემდეგ სპორტულ ცენტრებში: გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრი – ორი ობიექტი; დიდი დიღმის მრავალფუნქციური სპორტული ცენტრი; მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრის. ასათიანის ქუჩის ფილიალი და „არენა". აღნიშნული ცვლილების შედეგად, შესაძლებელია პროგრამის მომხმარებელთა ზრდა, დაახლოებით, 1 000 ბენეფიციარით.

რუსთავი



# 2025 წლის რუსთავის მსუყე ბიუჯეტი კორუფციამ არ (ვერ!) უნდა შეჭამოს!

## ნინო ლაცაბიძე: საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი კობახიძის მხარდაჭერით და მთავრობის გადაწყვეტილებით, 65,5 პროცენტით გაზრდილი ბიუჯეტი, რუსთაველებს კიდევ უფრო მეტი ახალი შესაძლებლობების შექმნის საშუალებას გვაძლევს.

**რუსთავის მერმა ნინო ლაცაბიძემ, რუსთაველებს 2025 წელს განსახორციელებელი პროექტების პრეზენტაცია წარუდგინა.**

პრეზენტაციას, საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლები, რუსთავის და გარდაბნის ისტორიული სოფლების დელეგატი საქართველოს პარლამენტში ირაკლი შატაკიშვილი, პარლამენტის რეგიონული პოლიტიკის და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ქადაგიშვილი, გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის წევრი ალექსანდრე დალაქიშვილი, პარლამენტის ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარის პირველი მოადგილე ირაკლი კირცხალია, სახელმწიფო რწმუნებული ქვემო ქართლში გიორგი დოხტურიშვილი, რუსთავის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების" წევრები, ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები და სხვადასხვა პროფესიის რუსთაველები ესწრებოდნენ.

რუსთავის ახალ სპორტის სასახლეში შეკრებილ 1000-ზე მეტ სტუმარს, ნინო ლაცაბიძემ ის ინფრასტრუქტურული, სოციალური, ახალგაზრდული, სპორტული და კულტურული პროექტები გააცნო, რომლებიც 2025 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტებად არის განსაზღვრული.

„საქართველოს პრემიერ-მინისტრის მხარდაჭერით და მთავრობის გადაწყვეტილებით, 65,5 პროცენტით გაზრდილი ბიუჯეტი, რუსთაველებს, კიდევ უფრო მეტი ახალი შესაძლებლობების შექმნის საშუალებას გვაძლევს.

2025 წელი, რომლის სამოქმედო გეგმის პრეზენტაციაც, რუსთავის მერიის გუნდთან ერთად წარვადგინეთ, მასშტაბური პროექტებით იქნება დატვირთული.

ყველა პროექტი 2025 წელს დაიწყება და ჩვენს ქალაქს, კიდევ უფრო ლამაზს და კომფორტულს გახდის.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო საქართველოს მთავრობას, საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძეს, საპარლამენტო გუნდს, ჩვენს რუსთაველ პარლამენტარებს, რომლებიც ამ პროექტის დაგეგმვაში და განხორციელებაში არიან ჩართულები, სახელმწიფო რწმუნებულს ქვემო ქართლში, მერიის და საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების" გუნდს, იმ თავდაუზოგავი შრომისთვის, რომლის შედეგსაც რუსთაველები ერთად ვხედავთ.

ჩვენ რუსთაველებთან ერთად ვქმნით ნამდვილ ევროპულ ქალაქს, რომელიც რუსთავის დიდ ისტორიას ღირსეულად გააგრძელებს", – განაცხადა რუსთავის მერმა ნინო ლაცაბიძემ.

რუსთავის 2025 წლის ბიუჯეტი 176 406 500 ლარითაა განსაზღვრული. მიმდინარე წელს რუსთავში 79 804 500 ლარის ღირებულების ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება დაიწყება.

„ნამდვილად შთამბეჭდავია ის, რაც რუსთავში უკვე გაკეთდა და მიმდინარე წლისთვის დაიგეგმა. 2025 წელს მართლაც არ დარჩება ქალაქის ცხოვრების არც ერთი სფერო და უბანი, რომელსაც თავისი წილი ყურადღება არ მიექცევა. ეს არის ინფრასტრუქტურა, მოქალაქეთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, განათლება, სოციალური პოლიტიკა, კულტურა. შთამბეჭდავია ის, რომ როდესაც ქალაქის მერად ნინო ლაცაბიძე იქნა არჩეული, მაშინ რუსთავის ბიუჯეტი 74 მილიონი ლარი იყო, წელს კი უკვე 176 მილიონ ლარზე მეტია. მთავარია, ამ ბიუჯეტის ხარისხიანი და სრული ათვისება ხდება. ეს რა თქმა უნდა, ქალაქის მერის, მერიის გუნდის და რუსთაველების ერთსულოვნების დამსახურებაა", – განაცხადა პარლამენტის რეგიონული პოლიტიკის და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ქადაგიშვილმა.

წარმოდგენილი პროექტების განხორციელება 2025 წელსვე დასრულდება, დაგეგმილია გარდამავალი პროექტებიც.

„დღეს ყველა ერთად გავეცანით 2025 წლის გეგმას, რომელიც საკმაოდ ამბიციურია. პრეზენტაციაში წარმოდგენილი პროექტები, თითოეული რუსთაველის სურვილზე და საჭიროებაზეა მორგებული. „ქართული ოცნების" პოლიტიკური გუნდის ერთ-ერთ მთავარ და მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სწორედ ქალაქების და რეგიონების განვითარება. ამის საუკეთესო მაგალითია რუსთავი, რომელიც დღეს ძალიან სწორად იმართება და ვითარდება. რომ არა ცენტრალური ხელისუფლების, საქართველოს მთავრობის მხარდაჭერა და საპარლამენტო გუნდის ჩართულობა, ჩვენ ნამდვილად გაგვიჭირდებოდა თითოეული ამ პროექტის განხორციელება", – განაცხადა რუსთავის და გარდაბნის ისტორიული სოფლების დელეგატმა საქართველოს პარლამენტში ირაკლი შატაკიშვილმა.



2025 წლის სამოქმედო გეგმით პრიორიტეტულია განათლების ხელშეწყობის, კულტურული და ახალგაზრდული პროექტებიც, იგეგმება ახალი სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა, გაგრძელდება მუნიციპალური სერვისების რეფორმაც.

დაგეგმილია თბილისის და მესხიშვილის სახელობის ქუჩების რეაბილიტაციის პირველი ეტაპი, ძველი რუსთავის რეაბილიტაციის ფარგლებში გაგრძელდება რუსთაველის ქუჩის რესტავრაცია, პრიორიტეტად დარჩება შიდა საუბნო გზების და სივრცეების მოწყობა, ავარიული კორპუსების რეაბილიტაცია. გაიხსნება ახალი ახალგაზრდული ცენტრი და ციფრული ტექნოლოგიების აკადემია, უკვე დაწყებულია ძველი კულტურის სახლის სრული რეაბილიტაცია, სადაც თანამედროვე მუსიკალური ლაბორატორია გაიხსნება, დაიწყება ათწლეულების ეკოლოგიური პროექტი, რომელიც რუსთავის ჭალის ტყის აღდგენა-განაშენიანებას ითვალისწინებს

საქართველოს რესპუბლიკა



მედიათა მიჯნაზე

პაატა ნაცვლიშვილი

# ფეისბუქი-2024, რჩეული პოსტები

29 მაისი, 2024 •

## ევერესტისა და თენსინგის დღე!

### 29 მაისი ევერესტის საერთაშორისო დღეა!

**ის პირველად 1953 წლის 29 მაისს დაიპყრეს და – საოცარია! – ეს დღე მისი პირველდამპყრობის თენსინგ ნორგეის დაბადების დღეს ემთხვევა!**

ევერესტი მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალია – 8848,86 მეტრი. ეს სახელი მწვერვალს 1856 წელს უწოდა ბრიტანეთის ინდოეთის გეოდეზიური სამსახურის უფროსმა ენდრიუ სკოტ ვომ თავისი წინამორბედის ჯორჯ ევერესტის პატივსაცემად. ევერესტი რამდენიმე სხვადასხვა სახელით არის ცნობილი: ჯომოლუნგმა (ტიბეტურად), საგარმათჰა (ნეპალურად), შენმუფენი (ჩინურად)... ევერესტამდე სხვადასხვა დროს მას ერქვა აგრეთვე დისქავერი, დეოდუნგჰა, გაურიშანკარი, პიკი XV.

მსოფლიოს უმაღლეს მწვერვალზე უკვე არაერთი ქართველი მთამსვლელია ნამყოფი. პირველი მათგანი ჩემი უფროსი მეგობარი რომან გიუტაშვილი იყო 1991 წელს. ჩემმა უმცროსმა მეგობარმა გია თორთლაძემ კი ევერესტი სამჯერ დალაშქრა (1999, 2001 და 2012 წლებში).

სხვადასხვა ქვეყნის ექსპედიციების არაერთგზისი მცდელობის შემდეგ, პირველ წარმატებას ევერესტზე ინგლისელთა ექსპედიციამ მიაღწია ჯონ ჰანტის მეთაურობით 71 წლის წინათ. 29 მაისს მწვერვალზე პირველები იყვნენ ახალზელანდიელი ედმუნდ ჰილარი და ნეპალელი შერპი თენსინგ ნორგეი. ეს გზა თენსიგმა წინა წელსაც გაიარა შვეიცარიის ექსპედიციის შემადგენლობაში რაიმონ ლამბერთან ერთად, მაგრამ ამინდის გაუარესების გამო 8400 მეტრიდან უკან დაბრუნდნენ.

„ლამბერი შვეიცარიელია და ფრანგულად ლაპარაკობს. მე და ლამბერმა 1952 წელს კინაღამ დავიპყარით ევერესტი: ჩვენ ერთმანეთს ვაგებინებდით რამდენიმე ინგლისური სიტყვით და მრავალრიცხოვანი ჟესტებით, მაგრამ ახლა ისეთი მეგობრები ვართ – გეგონებათ ერთ სოფელში ვიყოთ გაზრდილი“.

თენსინგი ლეგენდარული ადამიანია არა მარტო ნეპალსა თუ ინდოეთში, არამედ მთელ მსოფლიოში. ლეგენდარული და ამავე დროს იდუმალი. ბუნებით ალპინისტად დაბადებული, ჰიმალაების მწვერვალებზე ისე გრძნობდა თავს, როგორც იაკი ნეპალის მაღალმთიან საძოვრებზე. ხალხი ამბობდა, თენსინგს მესამე ფილტვი აქვსო.

„ჩემზე ამბობს სამი ფილტვი აქვსო – ისე ადვილად ვიტან დიდ სიმაღლეებს. ეს, ცხადია, ხუმრობაა. მიუხედავად ამისა, შემიძლია დაბეჯითებით ვთქვა, რომ ბევრზე უკეთ ვიტან სიმაღლეს და მართლა ალპინისტად ვარ დაბადებული. ასვლების დროს თანაბარ, ჩემთვის ბუნებრივ რიტმში ვმოძრაობ. ხელები სიცხეშიც ცივი მაქვს. გულიც, ექიმების თქმით, ძალიან ნელა მიცემს. დიდი სიმაღლეები ჩემი სტიქიაა. ყველაზე უკეთ იქა ვგრძნობ თავს“.

როგორც ლეგენდარულ და იდუმალ ჯომოლუნგმა-საგარმათჰა-ევერესტს, თენსინგსაც რამდენიმე სახელი აქვს. მისი საგვარეულო სახელია განგ ლა, დაბადებიდან კი მას ნამგიალ ვანდგი დაარქვეს. მერე, როგორც თვითონ ამბობდა, ლამის რჩევით მშობლებმა ტენცინგ ნორგეი უწოდეს. ამას გარდა სხვადასხვა დროს ერქვა აგრეთვე ქჰუმჟუნი და ბოტია. ევერესტის დაპყრობის შემდეგ, როცა თავს დიდება და ფული დაატყდა, იურიდიული თუ საბანკო ფორმალობებისთვის სახელად თენსინგ ნორგეი აირჩია. ეს არ არის სახელი და გვარი, ეს ორივე მხოლოდ სახელია. გვარები შერპებს არა აქვთ, ხოლო საგვარეულო სახელებს მხოლოდ ზეპირად ინახავენ თაობებში. ის რომ მას მისტერ ნორგეის ან ნორგეი თენსინგს უწოდებენ, შეცდომაა. თავის თავს იგი მარტივად თენსინგს ეძახდა. მაგრამ თენსინგი შერპებში იმდენია, რამდენიც გიორგი ქართველებში. მაგრამ თუ ვინმე უბრალოდ იტყვის თენსინგიო, თუმცა არსებობენ ევერესტზე მრავალგზის ნამყოფი სხვა თენსინგები, აქ მხოლოდ იგი იგულისხმება – ლეგენდარული თენსინგი.

როგორც მართლა ლეგენდარულ ადამიანს ეკადრება თენსინგმა თავად ამოარჩია არა მარტო თავისი სახელი, არამედ დაბადების ადგილიც და დაბადების დღეც! ის კი არა, წიგნის ავტორიცაა, თუმცა წერა-კითხვა არ იცოდა.



თანაც რა წიგნის – მილიონობით ეგზემპლარად რომ გავრცელდა მსოფლიოს მრავალ ენაზე. წიგნს „თოვლის ვეფხვი“ ჰქვია. ხოლო მის ავტობიოგრაფიას, რომელიც ჯეიმს რამზაი ულმანმა ჩაიწერა, ავტორის სახელი ასე აწერია –ევერესტის თენსინგი. ხოლო თავის სახელზე თენსინგი წერს:

„ჩემი სახელის მართლწერა მრავალჯერ შეიცვალა და არაერთი გაუგებრობა გამოიწვია. დაბადებისას ჩემთვის თენსინგი არ დაურქმევიათ, ამაზე სხვა დროს გიამბობთ. დასავლურ ენებზე ჩემი ახლანდელი სახელი იწერებოდა ხან ს-ით, ხან ზ-თი, ხან გ-ს გარეშე. ხშირად იცვლებოდა მეორე სახელიც. თავდაპირველად ვიყავი ქჰუმჟუნი (ერთ-ერთი შერპული სოფლის სახელწოდების მიხედვით), შემდეგ ბოტია (რაც ტიბეტელს ნიშნავს) და ბოლოს **Norkay** ან **Norkey** აგრეთვე **Norgya** ან **Norgay** (რაც თარგმანში „მდიდარს“ ან „იღბლიანს“ ნიშნავს, რასაც არაერთხელ მოუგვრია ჩემთვის ღიმილი). თვითონაც ხშირად და გვარიანად დავბნეულვარ. მაგრამ რას იზამ, როცა არ არის ოფიციალური ჩანაწერები ან როგორ დაწერ იმ ენაზე, რომელსაც დამწერლობა არ გააჩნია... სინამდვილეში ჩემი გვარი ან ჩემი გვარეულობის სახელწოდებაა განგ ლა, რაც შერპულად „თოვლის უღელტეხილს“ ნიშნავს, მაგრამ ჩვეულებისამებრ ჩვენ გვარებს არ ვხმარობთ. მხოლოდ ერთხელ გამოვიყენე იგი და ჩემს ახალ სახლს დავარქვი დარჯილინგში. ჩვენ გვყავს სწავლულები, ლამები, მათ ამიხსნეს, რომ თენსინგ ნორგეი არის ჩემი სახელის ყველაზე სწორი მართლწერა და გადავწყვიტე ასე ვწერო იგი. ოფიციალურ შემთხვევაში ხშირად ვამატებ „შერპი“, რათა უფრო გასაგები გახდეს, ვისზეა ლაპარაკი, თანაც ამით მინდა ჩემი ხალხისადმი პატივისცემაც გამოვხატო. მაგრამ შინ და მეგობართა წრეში უბრალოდ თენსინგს მეძახიან. ვიმედოვნებ, რომ ეს ასეც დარჩება და ერთ მშვენიერ დილას ვინმე სხვად არ გამოვიღვიძებ.“



არ ვიცი, შეიძლება თენსინგი ერთადერთი წერა-კითხვის უცოდინარი ავტორია ისტორიაში! აი, კიდევ ერთი ფრაგმენტი მისი წიგნიდან, რომელიც ნოდარ და ლიანა ჩხეიძეებმა თარგმნეს ქართულად და ორჯერ გამოიცა თბილისში – 1962 და 1978 წლებში სათაურით „მყინვართა ვეფხვი“:

**„იქნებ უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ მე ბევრი წიგნი მაქვს. ბავშვობაში წიგნი ან სულ არ მინახავს ან, თუ მინახავს, იშვიათად, რომელიმე მონასტერში, მაგრამ, როცა წამოვიზარდე და მონაწილეობა მივიღე ექსპედიციებში, ბევრი რამ მოვისმინე და გავიგე წიგნებზე. მრავალმა ადამიანმა, რომელთანაც მივლია მთებში და მიმოგზაურია, დაწერა წიგნი. მათ გამომიგზავნეს ეს წიგნები. და თუმცა კითხვა არ ვიცი, მე მესმის, რაზეა იქ ლაპარაკი და ვუფრთხილდები მათ, და აი, თვითონაც მომინდა წიგნის დაწერა. წიგნი, ჩემი აზრით, ის არის, თუ რა იყო ადამიანი და რა გააკეთა მან თავის სიცოცხლეში. თქვენს წინაა ჩემი წიგნი. ესაა მოთხრობა ჩემზე. ეს თვითონ მე ვარ“.**

მართალია, წერა-კითხვა არ სცოდნია, მაგრამ თენსინგი ნამდვილი პოლიგლოტი ყოფილა:

„ბევრი სახელი – ბევრი ენა, ეს დამახასიათებელია მსოფლიოს იმ ნაწილისათვის, რომელშიც მე ვცხოვრობ. როგორც ცნობილია ერთი საერთო ენის გამონახვა ინდოეთის მრავალრიცხოვანი ხალხებისათვის – ამ ქვეყნის თავსატეხი ამოცანაა. თითქმის ყოველ მაზრაში საკუთარ ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ უწიგნურობის მიუხედავად, რაკი ბევრს ვმოგზაურობდი, ნამდვილ პოლიგლოტად ვიქეცი. ჯერ კიდევ ბავშვობაში ვისწავლე ტიბეტური (ორივე დიალექტი – ჩრდილოეთისა და სამხრეთისა), საიდანაც წარმომდგარია ჩემი მშობლიური ენა – შერპული. თავისუფლად ვლაპარაკობ ნეპალურად და ეს ბუნებრივია, რადგან სოლო-ქჰუმბუ ნეპალში მდებარეობს და სულ ახლოა დარჯილინგთან, სადაც უკვე მრავალი წელია ვცხოვრობ. კლასიკური ჰინდი არ მისწავლია, მაგრამ ვლაპარაკობ ჰინდუსტანურს, რომელიც ჰინდისა და ურდუს ნაზავია და ახლოა ნეპალურთან. გარდა ამისა, ნაწილობრივ სხვა ენებსაც ვიცნობ, მაგალითად, პენჯაბურს, სიკიმურს, გარჰვალის, იალმოს (იხმარება ნეპალში), პასტუს (ავღანეთში), ჩიტრალის (ამ ენაზე ლაპარაკობენ ჩრდილო-დასავლურ სასაზღვრო ოლქში), ვიცი რამდენიმე სიტყვა სამხრეთ ინდოეთის მრავალრიცხოვანი ენებიდან, მაგრამ ამ ენებით მხოლოდ მოგზაურობის დროს ვსარგებლობ. შინ, ოჯახურ წრეში, ჩვეულებისამებრ შერპულად ვლაპარაკობ, ხოლო სხვა ადამიანებთან, დარჯილინგში, უმეტესად ნეპალურად. რა თქმა უნდა, ვიცნობ დასავლურ ენებსაც. ბევრი მივლია მთებში ინგლისის ექსპედიციებთან ერთად, ვიცნობდი ინდოეთში მცხოვრებ არაერთ ინგლისელს და ახლა იმდენად თამამად ვლაპარაკობ ინგლისურად, რომ თარჯიმნის დაუხმარებლად მოვყვები ამ წიგნის დიდ ნაწილს. ხშირად მიმოგზაურია სხვა ეროვნების ადამიანებთანაც და ყოველთვის მუნჯი როდი ვიყავი. ფრანგული? – „**Ca va bien, mes braves**!“ გერმანული? – „**Es geht gut**!“ იტალიური? – „**Molto bene**!“ შეიძლება უკეთესიც იყო, რომ არ მომიწია პოლონურ თუ იაპონურ ექსპედიციათა თანხლება, თორემ ვინ იცის, იქნებ ამრეოდა კიდეც ენები ერთმანეთში“.

ხოლო თავისი ეროვნების შესახებ, უკვე მსოფლიო მოქალაქედ ქცეული თენსინგი ამბობს:

„ერთნი ნეპალელად მთვლიან, მეორენი – ინდოელად. მე დავიბადე ნეპალში, მაგრამ ახლა ცოლთან, ქალიშვილებთან და დედასთან ერთად ინდოეთში ვცხოვრობ. ინდოელი, ნეპალელი – მე ვერ ვხედავ ვერავითარ განსხვავებას. მე შერპი ვარ, ნეპალელი, მაგრამ თავს ინდოელად ვთვლი. ყველანი ერთი დიდი ოჯახის წევრები ვართ – ჰილარი, მე, ინდოელები, ნეპალელები, ყველა ადამიანი ქვეყანაზე.“

წიგნის დაწერაში თენსინგს ჟურნალისტი ჯეიმს რამზაი ულმანი დაეხმარა, რომელიც დიდხანს ცხოვრობდა დარჯილინგში და თენსინგის მიერ, არავინ იცის, რა ენაზე მოთხრობილი ავტობიოგრაფია ჩაიწერა.

**„წიგნს ორიგინალში „თოვლის ვეფხვი“ ჰქვია, ქართულ თარგმანში კი რატომღაც – „მყინვართა ვეფხვი“. წიგნის ქართული გამოცემა უნიკალურია იმ მხრივაც, რომ ერთსა და იმავე წიგნს, ერთსა და იმავე თარგმანს ორ სხვადასხვა გამოცემაში სხვადასხვა ავტორი აწერია და პარლამენტის ბიბლიოთეკაშიც სხვადასხვა ასოზეა შესული: წიგნის პირველ გამოცემას ავტორად თენსინგ ნორგეი აწერია, მეორე გამოცემას – ჯეიმს რამზაი ულმანი.**

**(პოსტის დასასრული იქნება).**

# ზამთრის სახეობებითაც იამაყებთ!

**საქართველოს** სამი ქალაქი: ბაკურიანი, თბილისი და ბათუმი ევროპის ზამთრის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალს მასპინძლობს. ტურნირის ფარგლებში ჩვენს ქვეყანაში ზამთრის სპორტის 8 სახეობაში 45 ქვეყნის 1000-მდე სპორტსმენი იმყოფება. საქართველო კი სამ სახეობაში 8 მონაწილით გამოდის.

ბაკურიანი 2025-ის მიმართ საერთაშორისო დაინტერესება დიდია. უცხოელი დამკვირვებლები ტურნირს ყოველი საშეჯიბრო დღის ბოლოს აჯამებენ და როგორც ინფრასტრუქტურით, ასევე საორგანიზაციო კუთხით კმაყოფილი არიან.

ევროპის ოლიმპიური კომიტეტების პრეზიდენტმა **სპიროს კაპრალოსმა** ქართულ და საერთაშორისო მედიასთან ონლაინ პრესკონფერენცია გამართა. მან საქართველოში არსებულ ინფრასტრუქტურაზე, ქართველი ხალხის სტუმართმოყვარეობაზე, ტურნირის მიმდინარეობასა და სხვადასხვა საკითხებზე ისაუბრა.



**„ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი ისეთ ქვეყანას, როგორიც საქართველოა, აძლევს შესაძლებლობას განავითაროს ზამთრის სპორტის სახეობები. ბაკურიანი მსგავსი ადგილის პროგრესისთვის, სადაც მომავალი მსოფლიო თასები და მსოფლიო ჩემპიონატები ჩატარდება. მშვენიერი ადგილია და საქართველო ზამთრის სპორტის რუკაზე უკვე მოინიშნა.**

**ამ ღონისძიებების კარგად მასპინძლობა ქართველ სპორტსმენებს საშუალებას მისცემს, ნახონ რას აკეთებენ სხვა ქვეყნები და რა სჭირდება ჩემპიონობას. შთაბეჭდილების ქვეშ ვარ. შესანიშნავი მასპინძლები ხართ. ორგანიზატორები და მოხალისეები, რომლებსაც ყოველდღე ვხედავთ, სულ იღიმიან. ასეთ რამეს ბევრგან ვერ ნახავ, მათ შორის უფრო დიდ ტურნირებზე.**

**ჩამოსულ სპორტსმენებს უხარიათ ის პირობები. რაც აქვთ. გამოსარჩევია ქართული საკვები და სპორტსმენთა სოფლის პირობები. საქართველოში ორი წლის წინაც ვიყავი და მაშინ ჯერ კიდევ მიმდინარეობდა მშენებლობა, ახლა კი უმაღლესი დონის სპორტული ობიექტები გაქვთ. ეს ნიშნავს, რომ მეტი ადამიანი შეძლებს ზამთრის სპორტით სარგებლობას, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობა, ზოგიერთი მათგანი კი მომავალში ჩემპიონიც გახდება, რომლითაც ქვეყანა იამაყებს.**

**საქართველოს შეუძლია ზამთრის სპორტის განვითარება. რასაც დრო დასჭირდება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ამას შეძლებთ. თქვენ იამაყებთ არა მხოლოდ ძიუდოისტებით და მოჭიდავეებით, არამედ ზამთრის სპორტითაც. ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.**

**ბათუმში, ფიგურულ სრიალში ქართველი სპორტსმენი ინგა გურგენიძე ერთ-ერთი ლიდერია. ვხედავთ, რომ ქართველები ასპარეზობენ ბიატლონში, ალპურ თხილამურებში და ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანა ამ მიმართულებით უფრო და უფრო წინ მიდის.“** – აღნიშნა კაპრალოსმა.

# ძველი ნაცნობი



**16 თებერვალს ბორჯღალოსნები და ესპანელი „ლომები“ 2025 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატის ა ჯგუფში პირველობისთვის შეიბმებიან. თამაში მადრიდში, „ესტადიო ნასიონალ კომპლუტენსეზე“ თბილისის დროით 15:45 საათზე დაიწყება.**

ჯგუფური ეტაპის განვლილ ორ ტურში ორივე გუნდმა გამარჯვებები მოიპოვა, თასის ნახევარფინალში ორივე გავიდა და შესაბამისად, ორივემ მოიპოვა 2027 წლის მსოფლიო თასის საგზური. მაგრამ ამ თამაშმა უნდა გადაწყვიტოს ვინ დაიკავებს პირველ ადგილს და შესაბამისად, ვინ ისარგებლებს საკუთარი მოედნის უპირატესობით ნახევარფინალში.

ესპანეთში რაგბის თამაში მე-20 საუკუნის 20-იან წლებში დაიწყეს, 1923 წელს კი რაგბის ფედერაცია დააარსეს და 1934 წლიდან რაგბი ევროპის წევრები გახდნენ. ნაკრები პირველად 1929 წელს შეიკრიბა და იტალიას 9:0 აჯობა. გუნდმა არსებობის განმავლობაში ერთადერთხელ, 1999 წელს ითამაშა მსოფლიო თასზე და 2027 წელს მსოფლიოს უმაღლეს ფორუმზე მეორედ წარსდგება. ყველაზე დიდი სხვაობით – 90:8, ესპანეთმა 1995 წელს ჩეხეთი დაამარცხა, თავად კი 2001 წელს ავსტრალიასთან დამარცხდა – 10:92.

2000 წელს ერთა თასის (ამჟამად რაგბი ევროპის ჩემპიონატი) დაარსებიდან დღემდე, საქართველო ესპანეთს თითქმის ყოველ წელს ერკინებოდა. გამონაკლისი მხოლოდ 2005 წელი იყო, რის საპირწონედაც „ლომებს“ 2014 წელს ორჯერ ვეთამაშეთ. ჯამში 25 შეხვედრიდან 13 შინ გავმართეთ და 12 სტუმრად, მოვიგეთ 21, ერთი შეხვედრა ფრედ დავასრულეთ, 3-ჯერ კი მეტოქემ იმარჯვა – ბოლოს 2012 წელს და მას შემდეგ ბორჯღალოსნებს ესპანეთთან 13-მატჩიანი გამარჯვებების სერია აქვთ.

„ლომებმა“ სამივე გამარჯვება საკუთარ მოედანზე ჩაიწერეს – 2000 წელს, პირველ შეხვედრაში 36:32, 2007 წელს 31:17 და 2012 წელს 25:18. ფრე 6:6 ასევე სტუმრად, ტარაგონაში დაფიქსირდა.

ბორჯღალოსნებმა ესპანეთს სარეკორდო სხვაობით 2011 წელს „მიხეილ მესხზე“ მოუგეს - 60:0. ბოლო 13 თამაშია გამარჯვება საქართველოს რჩება, თუმცა მეტოქე საკუთარი გულშემატკივრის წინაშე მუდამ თავგამოდებით იბრძვის და 2021 წელს მადრიდში მხოლოდ 6 ქულის სხვაობით (25:19) ვიმარჯვეთ. ბოლოს მათ სტუმრად ორი წლის წინ ვეთამაშეთ და ტორელავეგაში 41:3 დავამარცხეთ, შარშან კი თბილისში 38:3 ვაჯობეთ.

განვლილ 25 თამაშში საქართველომ ესპანეთს 109 ლელო და 790 ქულა გაუკეთა, თავად კი 36 ლელო და 340 ქულა მიიღო. მოცემული მომენტისთვის ესპანეთი მსოფლიო რეიტინგში მე-18 ადგილზეა (66,44 ქულა) და საქართველოს (73,85 ქულა) 7 საფეხურით ჩამორჩება.

# თარიღი - სკამიდან

**ესეც სპორტული ცხოვრების განუყოფელი ნაწილია: 24-ე დაბადების დღეს ხვიჩა კვარაცხელია სათადარიგოთა სკამზე შეხვდა და ჩემპიონთა ლიგას ბრესტი – პსჟ-ს პლეი-ოფის 67-ე წუთიდან დაუბრუნდა, როცა ლუის ენრიკეს გუნდს საქმე უკვე მოთავებული ჰქონდა – 3:0 და საპასუხო პარიზული მატჩი ფორმალობად იყო ქცეული.**



კვლავ გაიბრწყინა დემბელემ, რომელმაც ჯერ პენალტი გამოიმუშავა, ხოლო შემდეგ დუბლიც შეასრულა.

ანგარიშმა შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოთ, რადგან ბრეტონის პროვინციის კლუბს იმ საღამოს ფატალურად არ უმართლებდა – ბურთი სამჯერ მოხვდა დონარუმას კარის ძელს, თუმცა ფრანგული ფეხბურთის გრანდი რომ საერთო სათამაშო კლასით აღნიშნულ მეტოქეს თვალსაჩინოდ აღემატება, ესეც ფაქტია. მით უფრო საინტერესოდ გვესახება მორიგ ეტაპზე ბარსელონასთან ან ლივერპულთან სენისპირელთა შესაძლო ორრაუნდიანი ჯახი, რომელიც პსჟ-ს ჭეშმარიტ ძალთა ბარომეტრად უნდა განვიხილოთ. იმასაც შეგახსენებთ, რომ კვარას ნაპოლის მაისურით უკვე აქვს ორივესთან ღირსეული ბრძოლის გამოცდილება, მერსისაიდელებთან საშინაო შეხვედრა კი მის საერთაშორისო კარიერაში ერთ-ერთი გამორჩეულია. ვიმედოვნებთ, მას ამჯერადაც მიეცემა შანსი.

მთლიანად მეთექვსმეტედფინალის მოვლენად იქცა სიტი – რეალის დრამატული დუელი, რომელიც სტუმრებმა, ტრადიციისამებრ, ბოლო წუთებზე შემოატრიალეს – 3:2. დანარჩენი შედეგები კი ასეთი გახლავთ: სპორტინგი – დორტმუნდი 0:3, იუვენტუსი – ეინდჰოვენი 2:1, სელტიკი – ბაიერნი 1:2, ფეიენოორდი – მილანი 1:0, მონაკო – ბენფიკა 0:1, ბრიუგე – ატალანტა 2:1.

# ჩამოვა შილდსი თბილისში?

**საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარმა მეტოქემ დანიამ შემადგენლობა დაასახელა. პრინციპში, ამ თემაზე საუბრისას ერთი რამეა საინტერესო: ითამაშებს თუ არა შეივონ შილდსი – დანიური პასპორტის მქონე ამერიკელი კალათბურთელი, რომელსაც სკანდინავიური ქვეყნის ნაკრების მაისურით ერთადერთხელ, 2017 წლის ევრობასკეტის წინასაკვალიფიკაციო ტურნირის მატჩში უთამაშია. როგორც ჩანს, მან იქაური პასპორტი ევროპაში გზის გასაკვლევად და კარიერის ასაწყობად მიიღო, სანაცვლოდ კი დანიის ეროვნული ნაკრებისთვის თითქმის არაფერი გაუკეთებია.**

შილდსს ელოდნენ 1 წლის წინაც, საქართველოსთან მატჩისთვის და მაშინ, როგორც ახლა, ის ოფიციალურად გამოქვეყნებულ შემადგენლობაში ფიგურირებდა. შილდსი არ ჩავიდა ნაკრებში სათამაშოდ არც წინა, ნოემბრის ფანჯრისას, როცა დანიელებმა სერბეთთან ორივე შეხვედრა წააგეს. ჩამოვა შილდსი თბილისში? ამ კითხვაზე ზუსტი პასუხის გაცემა დღეს არავის შეუძლია.

შეივონ შილდსი 30 წლისაა და ამერიკაში, სტუდენტურ ლიგაში ასპარეზობა რომ დაასრულა, პროფესიული კარიერა ევროპაში, გერმანულ „სკაილაინერსში“ დაიწყო. ცხადია, ის 2016 წლის დრაფტზე არ აირჩიეს და როგორც ამერიკელი კალათბურთელების უმეტესობა, კარიერის ასაწყობად ევროპა აირჩია. დანიური პასპორტი შილდსს დაეხმარა, ამერიკელებზე დაწესებული ლიმიტი მასზე არ გავრცელებულიყო და „სკაილაინერსში“ გატარებული სეზონის შემდეგ იტალიურ „ტრენტოში“ გადავიდა, სადაც ასევე 1 სეზონი გაატარა და მოხვდა ესპანურ „ბასკონიაში“, სადაც ლიდერი **თორნიკე შენგელია** გახლდათ. 2 წელი ითამაშა მომავალ ჩემპიონ ბასკონიაში და შემდეგ შილდსი მილანის „ოლიმპიაში“ გადაბარგდა სადაც დღემდე თამაშობს.

სხვათა შორის, შილდსი და შენგელია ერთმანეთს გუშინ იტალიის თასის გათამაშების მეოთხედფინალში დაუპირისპირდნენ: „ვირტუს ბოლონია“ „ოლიმპია მილანოს“ წინააღმდეგ დამარცხდა – 77:91.

დანიის ნაკრებში სისტემატურად თამაშობს **იფე ლუნდბერგი,** რომელიც შენგელიას პარტნიორი იყო „ვირტუს ბოლონიაში“ და მიმდინარე სეზონის წინ სერბულ „პარტიზანში“ გადავიდა. დანარჩენები იგივენი არიან, რომლებმაც საქართველოს ნაკრები 1 წლის წინ ნესტვედში დაამარცხეს და **ალექსანდრ ჯიკიჩის** გუნდს ევრობასკეტზე ზედიზედ მე-6-ედ გასვლა გაურთულეს. საქართველომ მას შემდეგ ფინეთი ორჯერ დაამარცხა და ისევ დანიას ხვდება, რომელთან მატჩიც გადამწყვეტია ჩვენი ნაკრებისთვის.

# უნიკალური მიღწევა

**რამდენიმე დღეც და საქართველოს კალათბურთელთა ეროვნული ნაკრები ევრობასკეტის გადამწყვეტ საკვალიფიკაციო შეხვედრებს გამართავს, რათა ზედიზედ მეექვსედ მოიპოვოს უმაღლესი რანგის კონტინენტური ფორუმის ფინალური რაუნდის საგზური.**

ვფიქრობთ, დასკვნითი აკორდის წინ ჯვაროსანთა განწყობაზე დადებითად აისახება საყურადღებო მცირე ექსკურსი ახლო წარსულში და საამაყო წინაპართა მიღწევების გახსენება.

ეს ინფორმაცია სპორტის, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, ქართული კალათბურთის მოყვარულთათვის, ალბათ, ინტერესს მოკლებული არ იქნება. მაგრამ ვიდრე უშუალოდ ამ საკითხზე გადავიდოდეთ მცირე ლირიკული გადახვევა უნდა გავაკეთოთ. ეს საინტერესოა.

ყველაზე ტიტულოვანი ქართველი კალათბურთელი, რომელმაც ყველა ტიტული მოიგო, ლეგენდარული **ზურაბ საკანდელიძეა.** ის



გახლავთ ევროპის ოთხგზის ჩემპიონი (1965, 1967, 1969, 1971), მსოფლიოს 1967 წლის ჩემპიონი და 1972 წლის მიუნჰენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი. მიზანთან ძალიან ახლოს იყო ლეგენდარული **მიხეილ ქორქია.** ის იყო ევროპის ჩემპიონი 1971 და 1972 წლებში და მიუნჰენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონი არ გამხდარა. იგივე შეიძლება ითქვას კიდევ ერთ ლეგენდარულ კალათბურთელზე, მათსავოთ ქუთაისელ **ნიკოლოზ დერიუგინზე.** 1982 წელს მან მოიგო მსოფლიო ჩემპიონატი, მაგრამ ოლიმპიური ჩემპიონი არ ყოფილა. ახლა გადავიდეთ არანაკლებ მნიშვნელოვან საკითხზე: რომელი ქართველი კალათბურთელი გახდა ყველაზე მეტჯერ საბჭოთა კავშირის ჩემპიონი? ლეგენდარული ქართველი კალათბურთელის **ნოდარ ჯორჯიკიას** შედეგი ნამდვილად უნიკალურად შეგვიძლია მივიჩნიოთ. ის ხუთჯერ იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. ეს მან გააკეთა ორი გუნდის შემადგენლობაში. ჯერ ორჯერ – 1944 და 1946 წლებში მოიგო მან საკავშირო ჩემპიონატი თბილისის ოფიცერთა სახლის (ტოდოს) მაისურით. ხოლო შემდეგ სამჯერ – 1950, 1953 და 1954 წლებში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა უკვე თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში. ამავე დროს 1950 და 1951 წლებში ის გახდა საბჭოთა კავშირის თასის მფლობელი. 1951 წელს ის გამოდიოდა საქართველოს ნაკრების სახელით. ამას დავუმატებდით იმასაც, რომ 1947 წელს ლეგენდარულ **ოთარ ქორქიასთან** ერთად, პირველად საბჭოთა კალათბურთის ისტორიაში, გახდა ევროპის ჩემპიონი, ხოლო 1952 წელს იმავე ოთარ ქორქიასთან ერთად, გახდა ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი.

**მერაბ კალანდაძე.**

# ენერგეტიკული სასმელები და ალკოჰოლი სიცოცხლისთვის სახიფათოა

**თაგვებზე** ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ ენერგეტიკული სასმელების ალკოჰოლთან შერევამ შეიძლება გამოიწვიოს კოგნიტური ფუნქციების ხანგრძლივი პრობლემები.

კვლევა იტალიის კალიარის უნივერსიტეტისა და კატანიის უნივერსიტეტის მკვლევართა ჯგუფმა ჩაატარა. მკვლევრებმა მოზარდ მამრ ვირთხებს მისცეს ალკოჰოლი, ენერგეტიკული სასმელი ან ორივეს ნაზავი. ამის შემდეგ, სხვადასხვა სტანდარტული ექსპერიმენტით შეაფასეს მათი კოგნიტური ფუნქცია. გამოიყენეს თავის ტვინის სკანირებები და ქცევითი ტესტები – დალევიდან მომდევნო 53 დღის განმავლობაში.




ტესტებმა ცხადყო, რომ ცხოველებს, რომლებსაც ორივე სასმლის ნაზავი მისცეს, აღენიშნათ მუდმივი ცვლილებები სწავლისა და მეხსიერების უნარში; ცვლილებები ასევე დაფიქსირდა თავის ტვინის ჰიპოკამპუსში – ტვინის ნაწილში, რომელიც პასუხისმგებელია სწავლასა და მეხსიერებაზე.

„ცოტა რამ არის ცნობილი, აქვს თუ არა მოზარდობის პერიოდში ამ სასმელების კომბინაციის სმას გრძელვადიანი ეფექტი ცენტრალურ ფუნქციაზე, რაც აჩენს კითხვას იმ რისკის შესახებ, რაც ამ ჩვევას შეიძლება ჰქონდეს თავის ტვინის მომწიფებაზე“, – წერენ მკვლევრები.

„ჩვენ მიერ მიღებული შედეგები აჩვენებს, რომ მოზარდობის პერიოდში ენერგეტიკულ სასმელებთან შერეული ალკოჰოლის მოხმარება იწვევს ჰიპოკამპის ადაპტირებულ ცვლილებებს ელექტროფიზიოლოგიურ და მოლეკულურ დონეზე, რაც დაკავშირებულია ქცევით ცვლილებებთან, რაც თავის მხრივ უკვე დაფიქსირებადია მოზარდობის პერიოდში, სრულწლოვანებამდე“, – წერენ მკვლევრები.

შედეგების ადამიანებზე დადასტურებაც ესაჭიროება და სავარაუდოდ, ჰორმონებთან ურთიერთქმედების გამო, სხვაობა იქნება სქესებს შორის, რისი შემოწმებაც მკვლევრებმა თაგვებზე ვერ შეძლეს. თუმცა, მათ მიერ მიღებული შედეგები მიუთითებს, რომ ენერგეტიკული სასმელების ჯანმრთელობაზე მავნე გავლენის შესახებ არსებული შეშფოთებები სამართლიანია. ალკოჰოლს თავის მხრივ ისედაც მრავალი მავნე გავლენა აქვს და ლოგიკურია, რომ ამ ორის ერთმანეთში შერევა ნამდვილად არ არის საუკეთესო იდეა.

კვლევა **Neuropharmacology**-ში გამოქვეყნდა.

# ტრაგედია ახალციხეში

**12 თებერვალს**, ახალციხეში, თამარაშვილის ქუჩაზე მდებარე სტომატოლოგიურ კლინიკაში 65 წლამდე ქალი გარდაიცვალა. ინფორმაციას ამის შესახებ „სამხრეთის კარიბჭე“ ავრცელებს.

არსებული ინფორმაციით, ქალი კლინიკაში მისვლიდან რამდენიმე წუთში გახდა ცუდად, იქამდე ვიდრე სტომატოლოგიური მომსახურება ჩაუტარდებოდა. სასწრაფო სამედიცინო დახმარების ჯგუფს პაციენტი უკვე გარდაცვლილი დახვდა.

გამოძიება სსკ–ის 116–ე მუხლით დაიწყო, რაც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას გულისხმობს. აღნიშნული ქმედება ისჯება შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე.

# აღმოჩენილია აუტიზმის გამომწვევი მიზეზი

## პლასტმასას დანამატი დედის ორგანიზმში

**ავსტრალიელი მეცნიერების მიერ ჩატარებული კვლევის შესახებ უნდა მოგიყვეთ, რომლის შედეგებსაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა და რომლის მიხედვითაც – თუ ორსულობის დროს ქალის ორგანიზმში ქიმიური ნაერთის, bisfenol A-ს (იგივე BPA) დონე ნორმაზე 3-ჯერ მეტია, იმის რისკი რომ ბავშვს მომავალში აუტისტური სპექტრის აშლილობის დიაგნოზი დაუსვან, 3-ჯერ იზრდება.**

აუტიზმი ფსიქიკის ისეთი აშლილობაა, რომელიც პიროვნების სხვა ადამიანებთან ურთიერთობის უნარსა და ქცევას აზიანებს. აუტისტურის სპექტრის მქონე ადამიანები ხშირად იკეტებიან საკუთარ თავში. ასევე, მას ახასიათებს ისეთი სიმპტომები, როგორებიცაა რეალობისგან მოწყვეტა, სოციალური ინტერაქციის ნაკლებობა, განმეორებითი მოძრაობები, მომატებული მგრძნობელობა სინათლის, ხმის და შეხების მიმართ და ა.შ.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ინფორმაციით, მსოფლიო მასშტაბით აუტიზმის დიაგნოზი 75 მილიონ ადამიანს აქვს. მამრობით სქესში აუტიზმის გავრცელება 4-ჯერ მაღალია, ვიდრე მდედრობითში.

კვლევის ფარგლებში მეცნიერები 600-ზე მეტი ჩვილის განვითარების პროცესს აკვირდებოდნენ. ისინი გამუდმებით ამოწმებდნენ, რამდენად დიდი იყო ბისფენოლის დონე ორსულებში. აღმოჩნდა, რომ იმ დედების შვილებს, რომელთა ორგანიზმშიც, ორსულობის დროს, ბისფენოლ A-ის დონე ნორმას აჭარბებდა, 3-ჯერ უფრო ხშირად უსვამდნენ აუტიზმის დიაგნოზს. ეს



მაჩვენებელი 6-ჯერ იზრდება ბიჭების შემთხვევაში.

ბისფენოლ 1 იგივე **BPA** ქიმიური ნაერთია, რომელსაც პლასტმასას გასამაგრებლად და ლითონების დაჟანგვის თავიდან ასაცილებლად იყენებენ. ის გვხდება პლასტმასის წყლის ბოთლებში, შესაფუთ მასალებში, სამზარეულოს აქსესუარებში, პოლიეთილენის პაკეტებში, ბავშვის სათამაშოებში, ქაღალდის ქვითრებში და ა.შ.

სამედიცინო სფეროს წარმომადგენლების თქმით, ბისფენოლ **A**-ის ორგანიზმიდან გამოდევნა საკმაოდ რთულია. ეს ნივთიერება ორგანიზმში დიდი ხნის განმავლობაში რჩება. მას შეუძლია გამოიწვიოს ისეთი პრობლემები, როგორებიცაა: რეპროდუქციული სისტემის ფუნქციის დაქვეითება, სქესობრივი მომწიფების დაჩქარება, ჰორმონალური დარღვევები, გულ-სისხლძარღვთა დაავადებები – ასევე, ის უარყოფითად აისახება ტვინის მუშაობაზე. მეცნიერების თქმით, ადამიანის ორგანიზმში ამ ნივთიერების სიჭარბე, შესაძლოა, მეორე ტიპის დიაბეტისა და ონკოლოგიური დაავადებების განვითარების მიზეზიც გახდეს.

აღსანიშნავია, რომ 2010 წელს აშშ-ში ბისფენოლ **A** ჯანმრთელობისთვის საშიშ ნივთიერებად აღიარეს.

როგორ შევამციროთ ბისფენოლ **A**-ის (**BPA**) ზეგავლენა:

მეცნიერების თქმით, კარგი იქნება თუ უარს ვიტყვით, პლასტმასის ბოთლებისა და ნაწარმის გამოყენებაზე: ასევე, შევამციროთ მეტალის ქილებში დაკონსერვებული პროდუქციის მიღებას;

უმჯობესია თუ საკვებ პროდუქტებს მინის ჭურჭელში შევინახავთ; სალარო აპარატების ქვითრებთან შეხებისას დავიბანთ ხელებს; მინისა და ალუმინის ქილების შერჩევისას – უპირატესობას მივანიჭებთ მინას; ბავშვების სათამაშოების შერჩევისას – ყურადღება მიაქციეთ, რომ ეტიკეტზე არ ეწეროს „შეიცავს **BPA**-ს“.

# ახალი რეკრეაციული სივრცე დიდ დიღომში



**თბილისის** მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური დიდ დიღომში, დემეტრე თავდადებულის ქუჩაზე არსებულ ტერიტორიაზე, რომლის ფართობიც ორ ჰექტარს შეადგენს, რეკრეაციულ სივრცეს აწყობს.

პროექტის ფარგლებში, ტერიტორიაზე საფეხმავლო ბილიკი, ცხოველთა სასეირნო სივრცე, გარე განათებისა და სარწყავი სისტემები, საბავშვო და სპორტული მოედნები მოეწყობა. ასევე, დაირგვება ხე-მცენარეები და დაითესება ბალახი.

სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში, ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების მოვლითი (გამოხშირვითი/გაწმენდითი) ჭრის სამუშაოები უკვე განხორციელდა. გარდა ამისა, ტერიტორია გაიწმინდა სამშენებლო ნარჩენებისგან და მოიხსნა უკანონო შემოღობვები.

აღსანიშნავია, რომ რეკრეაციულ ზონაში გადიოდა ამორტიზებული წყლის კოლექტორი, რომელიც შეიცვალა. ასევე, მოეწყო წყალარინების სისტემა და ტერიტორიაზე არსებული გაზის მილი მიწისქვეშ განთავსდა.

მიმდინარე სამუშაოებს, თბილისის მერთან ერთად გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსი პაატა ტოგონიძე და დედაქალაქის საკრებულოს წარმომადგენლები გაეცნენ.


## სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს

# განცხადება

საქართველოს მთავრობასთან 2015 წლის 26 მარტის სხდომაზე შეთანხმებული და საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2015 წლის 8 აპრილის #39 ბრძანებით დამტკიცებული „გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმის ფარგლებში“, 220 კვ. ეგხ-ების „აჯამეთი 1“-ს და აჯამეთი 2“-ს ცალკეული მონაკვეთების გაორჯაჭვიანება-რეაბილიტაციის პროექტის შესაბამისად შეიქმნა ახალი ჯაჭვი „აჯამეთი 3“, რომლის რეკონსტრუქციასაც ახორციელებს სს ,,საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“.

**ეგხ „აჯამეთი 3“-ს რეკონსტრუქციის არეალში მოექცა მოქალაქე კობა ლილუაშვილის (პ/ნ 18001011871) საკუთრებაში არსებული, 7200.00 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ 32.01.36.343) ნაწილი - 22.00 კვ.მ.**

მესაკუთრეს, 30/01/2025 წლის N349/07 წერილით ეცნობა ინფორმაცია, როგორც პროექტის მნიშვნელობის შესახებ, ასევე ეთხოვა სეგხ-ს დაცვის ზონაში მოქცეულ მიწის ნაკვეთზე ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმება, საბაზრო ღირებულების – 44 (ორმოცდაოთხი ლარი და ნული თეთრი) ლარის ანაზღაურების პირობით.

წინამდებარე პუბლიკაციით, სსე კიდევ ერთხელ სთავაზობს კობა ლილუაშვილს 22.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებას საბაზრო ღირებულების 44 (ორმოცდაოთხი ლარი და ნული თეთრი) ლარის ანაზღაურების პირობით. მესაკუთრის მიერ უარის გაცხადების შემთხვევაში, სსე უფლებას იტოვებს იმოქმედოს „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს

# განცხადება

საქართველოს მთავრობასთან 2015 წლის 26 მარტის სხდომაზე შეთანხმებული და საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2015 წლის 8 აპრილის #39 ბრძანებით დამტკიცებული „გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმის ფარგლებში“, 220 კვ. ეგხ-ების „აჯამეთი 1“-ს და აჯამეთი 2“-ს ცალკეული მონაკვეთების გაორჯაჭვიანება-რეაბილიტაციის პროექტის შესაბამისად შეიქმნა ახალი ჯაჭვი „აჯამეთი 3“, რომლის რეკონსტრუქციასაც ახორციელებს სს ,,საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა’.

**ეგხ „აჯამეთი 3“-ს რეკონსტრუქციის არეალში მოექცა მოქალაქე თამაზ სამხარაძის (პ/ნ 01008023585) საკუთრებაში არსებული 116 568.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 32.01.36.054) ნაწილი, კერძოდ 51.00 კვ.მ.**

მესაკუთრეს, 31/01/2025 წლის N375/09 წერილით ეცნობა ინფორმაცია, როგორც პროექტის მნიშვნელობის შესახებ, ასევე ეთხოვა სეგხ-ს დაცვის ზონაში მოქცეულ მიწის ნაკვეთზე ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმება, საბაზრო ღირებულების – 102.00 (ას ორი ლარი და ნული თეთრი) ლარის ანაზღაურების პირობით.

წინამდებარე პუბლიკაციით, სსე კიდევ ერთხელ სთავაზობს თამაზ სამხარაძეს 51.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებას საბაზრო ღირებულების 102.00 (ას ორი ლარი და ნული თეთრი) ლარის ანაზღაურების პირობით. მესაკუთრის მიერ უარის გაცხადების შემთხვევაში, სსე უფლებას იტოვებს იმოქმედოს „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

# ეს ქვეყნის შეურაცხყოფაა! ვანდალიზმის ფაქტი მცხეთის ჯვრის მონასტერში

## უცხო ქვეყნის მოქალაქემ ეკლესიის შეურაცხყოფის კადრები სოციალურ ქსელში თავად გაავრცელა

**მცხეთის ჯვრის მონასტერში ვანდალიზმის ფაქტი დადასტურდა. უცხო ქვეყნის მოქალაქემ ეკლესიის შეურაცხყოფის კადრები სოციალურ ქსელში თავად გაავრცელა.**



ირკვევა, რომ ის საპროტესტო აქციების აქტიური მონაწილეა.

ჯვრის მონასტრის მღვდელმსახურები ამბობენ, რომ მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლის დაზიანება ქვეყნის შეურაცხყოფაა.

„ფაქტი თავისთავად ვანდალურია და გარკვეულწილად ადრეც მომხდარა. კულტურის ძეგლთა დაცვიდან იყვნენ მოსულები და რეაგირება ჰქონდათ. არ ვიცი ვინ არის და ხომ უდევს, ცეკვავს თუ რაღაც. წარწერები მომატებული აქვს, ადრე რაც იყო იმასთან შედარებით მეტი წარწერაა. მიზანი ერთია – მარტო ტაძრის არა, ეს მთლიანად ქვეყნის და ყველა ჩვენგანის შეურაცხყოფაა“, – განაცხადა ბერმონაზონმა დანიელმა.

# როგორ ახერხებენ პოლარული დათვები გადარჩენას მუდმივ ყინვაში?

**მეცნიერებმა აღმოაჩინეს, თუ რა ეხმარება პოლარულ დათვებს გადარჩენაში მკაცრი კლიმატის პირობებში. ირკვევა, რომ საიდუმლო მათ ბეწვშია, რომელიც ხელს უშლის გაყინვას სპეციფიკური ცხიმოვანი საფარის წყალობით.**



მეცნიერებმა შეისწავლეს დათვების ცხიმი, რომელიც შედგება ქოლესტერინის, დიაცილგლიცეროლებისა და ცხიმოვანი მჟავებისგან და დაასკვნეს, რომ ის ართულებს ყინულის ბეწვზე შეწებებას.

შემდეგ პოლარული დათვის ბეწვის შედეგები შეადარეს ადამიანის თმისა და ორი სახის სინთეზური „სათხილამურო ტყავის“ შედეგებს“.

მეცნიერებმა აღნიშნეს, რომ საუბარია კონკრეტულად „გაურეცხავ, ცხიმიან ბეწვზე“. როდესაც პოლარული დათვის ბეწვი გარეცხეს, ანუ ცხიმი ამოიღეს, ყინული ადვილად ეწებებოდა მას, ისევე როგორც ადამიანის თმას.

ამ აღმოჩენამ უბიძგა ჯგუფს პოლარული დათვის ცხიმის დეტალური ქიმიური ანალიზის ჩატარებისკენ.

ერთ-ერთმა მეცნიერმა აღნიშნა, რომ აღმოჩენა შეიძლება დაეხმაროს მეცნიერებს მოთხილამურეებისა და სნოუბორდისტებისთვის უსაფრთხო „ახალი, უფრო გამძლე ყინვაგამძლე ზედაპირების“ შემუშავებაში.

„პოლარული დათვის ბეწვი უზრუნველყოფს ალტერნატიულ სტრატეგიას ყინვაგამძლე ზედაპირის შესაქმნელად, რომელიც დაფუძნებულია ბეწვის ცხიმში ან თმის ზეთში არსებული ლიპიდების დამახასიათებელ ნარევზე“.

# ნორვეგიაში მსოფლიოს ულამაზესი კატა გამოავლინეს

**პოლონეთში მცხოვრები ბაკარდი მსოფლიოში ყველაზე ლამაზ კატად აღიარეს. ასეთ დასკვნამდე ნორვეგიაში ჩატარებული კატების საერთაშორისო გამოფენის FIFe World Show ჟიურის წევრები მივიდნენ.**



26 მსაჯი 1,5 ათასზე მეტი მონაწილის შეფერილობას, ბეწვ-აღნაგობასა და სახის ფორმას აფასებდა. ფინალში ბაკარდიმ, რომელიც რუსული ცისფერი ჯიშის წარმომადგენელია, სომალიურ, აბისინურ და ორიენტულ კატებს აჯობა.

„ყოველთვის ვიცოდი, ,რომ ბაკარდი მსოფლიოში ყველაზე ლამაზი კატაა. ამის შესახებ ყოველდღე ვეუბნები, ახლა კი წერილობით დასტურიც მაქვს“, – განაცხადა კატის პატრონმა ჯოანა კოვალჩიკმა.

# უდიდესი საუფლო დღესასწაული მირქმა (მიგებება) მაცხოვრისა

**15 თებერვალს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს მირქმას (მიგებება) უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.**



...ცნობილია, რომ როცა იესო ქრისტე ორმოცი დღის შესრულდა, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი და მისი დამწინდველი იოსები ტაძარში მივიდნენ. წესისამებრ, ახალნამშობიარევ დედას 40 დღე არა აქვს უფლება ტაძარში შესვლისა, ვიდრე არ წაეკითხება განწმენდის ლოცვა. ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს განწმენდის ლოცვა არ სჭირდებოდა, რადგან ქალწულად დარჩა, მაგრამ მაინც შეასრულა ღვთის კანონი.

ნიშანდობლივია ისიც, რომ ტაძარში ჩვილით მისულ მარიამ და მართალ იოსებს მიეგება სულიწმინდის მადლით ცხებული მართალი სვიმეონი. იგი იყო ერთ-ერთი იმ 70 ებრაელთაგანი, რომლებსაც ებრაულიდან ბერძნულ ენაზე უნდა ეთარგმნა ბიბლია.

მართალ სვიმეონს წილად ხვდა ესაია წინასწარმეტყველის წიგნის თარგმნა და როცა მიუახლოვდა ადგილს, სადაც წერია „ჰა მუცლად იღებს ქალწული და შობს ძეს და უწოდებს სახელად ემანუელს“, ეგონა რომ წიგნში გაიპარა შეცდომა, რადგან შეუძლებლად ჩათვალა, ქალწულს ეშვა ძე, სვიმეონმა ადგილის შეცვლა განიზრახა.

...მოულოდნელად უფლის ანგელოზი გამოეცხადა და უთხრა მას: **„ვერ იხილავ სიკვდილს, ვიდრე არ ნახავ ქალწულისგან შობილ მაცხოვარს.“**

360 წლის იყო სვიმეონი, როცა იერუსალიმის ტაძარში მიყვანილი მრავალ ბავშვს შორის სულიწმინდის კარნახით შეიცნო მაცხოვარი და შემდეგი სიტყვებით მიეგება. **„აწ განუტევე მონაი შენი მეუფეო, სიტყვისამებრ შენისა მშვიდობით, რამეთუ იხილეს თვალთა ჩემთა მაცხოვარებაი შენი“.**

...წმინდა მამები გვასწავლიან, რომ არა მხოლოდ მართალი სვიმეონი და წმინდა ანა გახდნენ უფლის მიგებების ღირსნი, არამედ ყველა მორწმუნეს აქვს უფალთან შეხვედრის საშუალება – და ეს ხდება ტაძარში აღსარებისა და ზიარების დროს.

გილოცავთ ამ უდიდეს დღესასწაულს!

**გიული ლიპარტია**

# „საქართველოს მთიანეთის ტრადიციული ლუდის“ აღიარება




**საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულმა ცენტრმა – „საქპატენტმა“, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს განაცხადის საფუძველზე, „საქართველოს მთიანეთის ტრადიციული ლუდი“ გეოგრაფიულ აღნიშვნად დაარეგისტრირა.**

საქართველოს მთიანეთის ტრადიციული ლუდი დაბალი სპირტშემცველობის მქონე არომატული ალკოჰოლური სასმელია, რომლის დამზადების ტრადიციები საქართველოში უძველესი დროიდან არსებობს. საქართველოს მთიანეთის ტრადიციული ლუდის წარმოების ზონას აღმოსავლეთ საქართველო, კერძოდ, თუშეთის, ფშავ-ხევსურეთისა და ცხინვალის რეგიონების (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიები) მთიანეთი განეკუთვნება.

დღეის მდგომარეობით, ქართული მთის ლუდის ჩათვლით, საქართველოში რეგისტრირებულია 39 ადგილწარმოშობის დასახელება და 31 გეოგრაფიული აღნიშვნა. გეოგრაფიული აღნიშვნისა და ადგილწარმოშობის დასახელების სტატუსის მინიჭება უზრუნველყოფს პროდუქტების დაცვასა და კონკურენტუნარიანობას ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე, რაც ქმნის მყარ საფუძველს სოფლის მეურნეობისა და, ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის.

უახლოეს მომავალში ადგილწარმოშობის დასახელებების დაცვისა და მათი საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ ლისაბონის შეთანხმების საფუძველზე, განახლდება შესაბამისი ბაზა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) მიერ მართულ ლისაბონის ხელშეკრულების რეესტრში.

საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,
თემურ ქორიძე,
ოთარ ტურაბელიძე,
გია პლატონიშვილი,**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

დამკაბადონებლები
**გიორგი მახარაშვილი,
არჩილ სიხარულიძე.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი**

**მისამართი:**
თბილისი. აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 17 თებერვალს